საბჭოთა მთავრობის წინადადებაა: ყველა სახელმწიფოს საყოველთაო და სრული განიარაღება!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 220 (11526) | კვირა, 20 სექტემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

18 სექტემბერს **ნ. ს. ხრუშჩოვი** გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე და განსახილველად შეიტანა დეკლარაცია საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

საბჭოთა მთავრობის წინადადებაა, რომ ოთხი წლის განმავლობაში ყველა სახელმწიფომ განახორციელოს სრული განიარაღება და აღარ ექნეთ ომის წარმოების საშუალებანი.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში 1959 წლის 18 სექტემბერს



ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გამოდის სიტყვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიის სხდომაზე. (სურათი მიღებულია საკდესის ფოტოტელეგრაფით).

ბატონო თავმჯდომარე!

პატივცემულო დელეგატებო!

ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის — ბატონ დუაიტ ეიზენჰაუერის მოწვევით — დროის მიხედვით დაემთხვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობის დაწყებას. ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა გულწრფელი მადლობა განვუცხადო ასამბლეის დელეგატებს და გენერალურ მდივანს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომეცა სიტყვა წარმოვთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნიდან. მით უფრო ვაფასებ პატივს, რომელიც დამდეს, რომ საბჭოთა კავშირს დღეს გენერალური ასამბლეის განსახილველად შემოაქვს ფრიად მნიშვნელოვანი წინადადებანი ისეთი ყველაზე მწვავე პრობლემის შესახებ, რომელიც აღელვებს ხალხებს — განიარაღების პრობლემის შესახებ.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელზეც ხალხებს იმდენი იმედი დაემყარებინათ, რამდენსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე ამყარებენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც იშვა მრისხანე დროს, როცა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი ბრძოლების ხმა და ჯერ კიდევ ბოლავდა დანგრეული ქალაქებისა და სოფლების ნახანძრალი, გამოხატა რა მრავალი მილიონი გაწამებული ადამიანის ფიქრები და მისწრაფებები, თავის მთავარ ამოცანად გამოაცხადა გაეთავისუფლებინა მომავალი თაობანი ომის უბედურებათაგან. ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაერთიანებულია ოთხმოცზე მეტი სახელმწიფო. ამ ორგანიზაციის რიგებში დადგა ბევრი ისეთი სახელმწიფო, რომლებიც წარსული ომის დროს მტრულ ბანაკში იმყოფებოდნენ იმათ მიმართ, ვინც საფუძველი ჩაუყარა ამ ორგანიზაციას.

ამ საერთაშორისო ფორუმის შექმნის მომენტიდან თოთხმეტ წელიწადზე მეტი ხანი გავიდა. და მიზანი, რომლისთვისაც ეს ორგანიზაცია დაარსდა, ჯერ მაინც არ არის მიღწეული. ხალხები ჯერ კიდევ ცხოვრობენ მუდმივ შიშში მშვიდობის საქმის, თავიანთი მომავლის გამო. და როგორ არ უნდა განიცდიდნენ ამ შიშს, თუ მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში იფეთქებს ხოლმე სამხედრო კონფლიქტები და იღვრება ადამიანთა სისხლი. მსოფლიოს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დავიწყებია მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი, თავს დასწოლია შავი ღრუბელი ახალი ომის საფრთხისა, რომელიც დროდადრო ჭექა-ქუხილად იქცევა.

საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა სამუდამოდ ვერ გაგრძელდება: იგი ან ისეთ გამწვავებას მიაღწევს, როცა დარჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი—ომი, ან სახელმწიფოთა ერთობლივი ღონისძიებებით დროზე მოხერხდება ამ დაძაბულობის ლიკვიდაციის მიღწევა. ხალხები მოელიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გაამრავლებს თავის ღონისძიებებს სახელმწიფოთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ვითარების შექმნისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

საერთაშორისო საქმეებში, სადავო პრობლემათა გადაჭრაში წარმატება შესაძლებელია, თუ სახელმწიფოებს ორიენტაცია ექნებათ არა იმაზე, რაც თიშავს თანამედროვე მსოფლიოს, არამედ იმაზე, რაც აახლოებს სახელმწიფოებს. ვერავითარმა სოციალურმა და პოლიტიკურმა განსხვავებამ, იდეოლოგიისა და რელიგიური რწმენის ვერავითარმა სხვადასხვაობამ ვერ უნდა შეუშალოს ხელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შეთანხმდნენ მთავარზე — იმაზე, რომ მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრული თანამშრომლობის პრინციპებს წმიდად და განუხრელად იცავდეს ყველა სახელმწიფო. ხოლო თუ პირველ პლანზე დავაყენებთ უთანხმოებასა და სოციალურ განსხვავებას, ეს უეჭველად მარცხს განუმზადებს მთელ ჩვენს მეცადინეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად. მეოცე საუკუნეში არ შეიძლება, შუა საუკუნეთა ფანატიკოსების მსგავსად, დავიწყოთ ლაშქრობა სხვა რჯულის ადამიანების ცეცხლითა და მახვილით მოსასპობად ისე, თუ რისკი არ გავწიეთ, რომ კაცობრიობა დავაყენოთ მის ისტორიაში უდიდესი კატასტროფის წინაშე.

თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის განსახიერებაა. მართლაც, შეხედეთ, სხვადასხვა სოციალური სისტემის რამდენი სახელმწიფო არის წარმოდგენილი ამ დარბაზში, რა ბევრი რასა და ეროვნებაა, რაოდენ მრავალფეროვანია მსოფლმხედველობანი და კულტურები!

მაგრამ როცა სახელმწიფოები სხვადასხვანაირად უდგებიან სადავო საკითხების შეფასებას, როცა სხვადასხვა აზრია ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზთა შესახებ, მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ უთანხმოების დასაძლევად მთავრობებს დასჭირდებათ დაუცხრომელი მეცადინეობა, სიმტკიცე და სახელმწიფოებრივი სიბრძნე. დადგა დრო, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებანი მშვიდობის განსამტკიცებლად უნდა შეივსოს ყველა სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ღონისძიებებით, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის მებრძოლი ხალხების უფართოესი მასების ღონისძიებებით. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ დადგა დრო დაიწყოს საერთაშორისო მოლაპარაკების, სახელმწიფო მოღვაწეთა თათბირებისა და შეხვედრების ხანა, რათა ზედიზედ გადაიჭრას მომწიფებული საერთაშორისო საკითხები.

იმისათვის, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობაში მთლიანად დამკვიდრდეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, ჩვენი აზრით, ბოლო უნდა მოეღოს „ცივ ომს“. ხალხები ვერავის დაანებებენ, რომ „ცივი ომის“ არაბუნებრივი მდგომარეობა კვლავაც გაგრძელდეს, ისევე როგორც ვერ დაუშვებენ, რომ შავი ჭირისა და ხოლერის ეპიდემიები მძვინვარებდნენ.

რას ნიშნავს „ცივი ომის“ ლიკვიდაცია და რა უნდა ვქნათ ამისათვის?

უწინარეს ყოვლისა ბოლო უნდა მოეღოს ომისადმი მოწოდებას. ცოდვა გამჟღავნებულ სჯობს — ომისაკენ მომწოდებელ სიტყვებს კვლავ წარმოთქვამს ზოგიერთი წინდაუხედავი სახელმწიფო მოღვაწეც. განა დრო არ არის შეწყდეს იარაღის ჩხარუნი და მუქარა სხვა სახელმწიფოთა მიმართ?

„ცივი ომი“ ორმაგად საშიშია, რადგან იგი წარმოებს შეუკავებელი გამალებული შეიარაღების პირობებში, რომელიც თოვლის გუნდასავით იზრდება და აძლიერებს სახელმწიფოთა ეჭვიანობასა და უნდობლობას ერთიმეორისადმი.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ „ცივი ომი“ დაიწყო და ჩაღდება ისეთ ვითარებაში, როცა ჯერ სულაც არ აღმოფხვრილა მეორე მსოფლიო ომის ნამები, როცა ჯერ კიდევ არ არის დადებული საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, ხოლო გერმანიის გულში, ბერლინში, მისი დასავლეთი სექტორების ტერიტორიაზე შენარჩუნებულია საოკუპაციო რეჟიმი. თუ აღმოვფხვრით დაძაბულობის ამ წყაროს ევროპის ცენტრში, მსოფლიოს პოტენციურად ყველაზე საშიშ რაიონში, სადაც ერთმანეთის პირისპირ განლაგებული არიან ერთიმეორის მოწინააღმდეგე სამხედრო დაჯგუფებათა დიდი შეიარაღებული ძალები, ეს მოგვცემს ახლანდელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების საშუალებას. ჩვენ მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს ყოველი ღონე იხმარონ, რათა შეთანხმდნენ რეალური ნაბიჯების შესახებ ამ მიზნის მისაღწევად.

ვის შეუძლია უარყოს, რომ „ცივი ომის“ ლიკვიდაციისა და საერთაშორისო ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხებს შორის კონტაქტების ყოველი ღონისძიებით განვითარებას. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ გაფართოვდეს სახელმწიფო მოღვაწეების, აგრეთვე პოლიტიკური, საქმიანი და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენელთა ურთიერთ ვიზიტების პრაქტიკა, გაიშალოს საერთაშორისო ეკონომიური, კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა.

მინდა ვთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გაცილებით უფრო წარმატებით შეასრულებს თავის კეთილშობილურ როლს, თუ თვითონ შეძლებს განიწმინდოს „ცივი ომის“ ელემენტებისაგან, რომლებიც ხშირად ბოჭავენ მის საქმიანობას. განა „ცივმა ომმა“ არ წარმოშვა ისეთი შეუწყნარებელი მდგომარეობა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელმწიფო, მრავალი წლის განმავლობაში მოკლებულია თავის კანონიერ უფლებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ვინმე სერიოზულად ფიქრობდეს, თითქოს შეიძლება მივაღწიოთ უმნიშვნელოვანესი მსოფლიო პრობლემების მტკიცე და საიმედო მოწესრიგებას, თუ მონაწილეობა არ მიიღო დიდმა სახალხო ჩინეთმა, რომელსაც მალე თავისი ადგილი ეკავება მეოთხე წლისთავი შეუსრულდება.

ნება მიბოძეთ სავსებით გულახდილად გამოვთქვა აქ შემდეგი აზრები ამ საკითხზე. ყველამ იცის, რომ როცა ადამიანი კვდება, ბოლოს და ბოლოს მას მარხავენ. რაგინდ ძვირფასი იყოს მიცვალებული, რაგინდ დასანანი იყოს მისი განშორება, ცხოვრება ყველას აიძულებს ანგარიში გაუწიოს რეალურ სინამდვილეს: მიცვალებულს უკეთებენ კუბოს ან მავზოლეუმს, გამოასვენებენ იმ სადგომიდან, სადაც ცოცხლები ცხოვრობენ. ასე იყო ძველ დროში, ასე ხდება ჩვენს დროშიც. მაშ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის წარმომადგენლად რატომ უნდა იყოს რეაქციული ჩინეთის გვამი, ესე იგი ჩანკაი-შის ხროვა? ჩვენ მიგვაჩნია, რომ უკვე დიდი ხანია დადგა დრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც ისე მოვიქცეთ, როგორც ყველა ხალხი ექცევა გვამს, ესე იგი უნდა გავიტანოთ ეს გვამი იქიდან, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს ჩინელი ხალხის ნამდვილმა წარმომადგენელმა. **(ტაში).**

ჩინეთი ტაივანი როდია. ტაივანი მხოლოდ პატარა კუნძულია, პროვინციაა, ესე იგი დიდი სახელმწიფოს —ჩინეთის მცირე ნაწილია. ჩინეთი — ეს არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც აგერ უკვე 10 წელია სწრაფი ტემპებით ვითარდება, რომელსაც ჰყავს თავისი მტკიცე, მთელი ჩინელი ხალხის მიერ აღიარებული მთავრობა, აქვს ჩინეთის მთელი ხალხის არჩეული საკანონმდებლო ორგანოები. ჩინეთი — ეს არის დიდი სახელმწიფო, რომლის დედაქალაქია პეკინი. ადრე თუ გვიან ტაივანი, როგორც განუყოფელი ნაწილი სუვერენული ჩინეთის სახელმწიფოსი, გაერთიანდება მთელ სახალხო ჩინეთთან, ესე იგი ამ კუნძულზე გავრცელდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ძალაუფლება. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი.

სახალხო ჩინეთის კანონიერ უფლებათა აღდგენა არა მარტო უღრეესად აამაღლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟსა და ავტორიტეტს, არამედ ამასთანავე სერიოზული წვლილი იქნება საერთაშორისო ვითარების საერთო გაჯანსაღებაში.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იპოვნის თავის წიაღში ძალებს, რათა თავი დააღწიოს „ცივი ომის“ ყველა ნაშთს და გახდეს ნამდვილად საერთაშორისო თანამშრომლობის უნივერსალური ორგანო, რომელიც ეფექტიანად მოქმედებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის სასარგებლოდ.

მაგრამ შეუძლიათ შემეკითხონ: „ცივი ომის“ ლიკვიდაცია, მშვიდობის განმტკიცება და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა — ეს, რა თქმა უნდა, უაღრესად კეთილშობილური და მიმზიდველი მიზანია, მაგრამ შესაძლებელია თუ არა მისი მიღწევა, რეალურია თუ არა იგი? შეგვიძლია თუ არა ახლავე, თანამედროვე პირობებში, ვაშენოთ ახალ საფუძვლებზე ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის?

ამ ტრიბუნიდან მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ საბჭოთა მთავრობას აღნიშნული მიზნის მიღწევა არა მარტო გადაუდებელ, არამედ სავსებით რეალურ საქმედაც მიაჩნია. საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ ამჟამად შეიქმნა საჭირო პირობები, რათა **მკვეთრი** მობრუნება მოხდეს საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესების მხრივ, მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის **სავსებით** მოისპოს „ცივი ომი“.

მოდით განვიხილოთ, თუნდაც გაკვრით, უკანასკნელი თვეების უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პრობლემასთან.

უკვე ის გარემოება, რომ 1959 წლის მაისში მოწვეული იყო საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი, რომელშიც პირველად მიიღეს მონაწილეობა ორი გერმანული სახელმწიფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, თავისთავად გამოხატავდა ახალ სულისკვეთებას საერთაშორისო ურთიერთობაში — რეალიზმისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებას. ჟენევაში მიღწეული შედეგები, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ არის ისეთი, რომ საკმარისად ჩავთვალოთ გადაუდებელი საერთაშორისო საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის. მაგრამ უკვე ის კარგია, რომ ჟენევის თათბირის დღის წესრიგში დასმული პრობლემების საფუძვლიანმა და გულახდილმა განხილვამ უზრუნველყო, როგორც ეს აღნიშნულია თათბირის დასკვნითს კომუნიკეში, მხარეთა პოზიციების დაახლოება მთელ რიგ საკითხებში. ამით მომზადდა არცთუ ცუდი საფუძველი შემდგომი მოლაპარაკებისათვის, რომელსაც შეუძლია მოჰყვეს შეთანხმება ღიად დარჩენილ საკითხებზე.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებისათვის. არა გვგონია ვისმე ეეჭვებოდეს, რომ იმაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდება ურთიერთობა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის — მსოფლიოს ორ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს შორის, ბევრად არის დამოკიდებული მთელი საერთაშორისო ვითარების განვითარება. სწორედ ამიტომ ახლის უკვე ის პირველი ყლორტები, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს გაჩნდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, უაღრესად გულწრფელ მოწონებას პოულობენ მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში ყინული, უეჭველია, დაიძრა, და ჩვენ გულწრფელად გვახარებს ეს.

იმ მოვლენათა შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას, მობრუნების მოვლენა შეიძლება გახდეს ვიზიტების გაცვლა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურებს შორის. ჩვენ ვუზიარებდით და კვლავაც გავუზიარებთ აზრებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხზე და მომწიფებულ საერთაშორისო პრობლემებზე. გვჯერა, რომ ბატონ ეიზენჰაუერს სურს ხელი შეუწყოს დაძაბულობის აღმოფხვრას სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის საბჭოთა კავშირთან რეალისტური მოლაპარაკება აწარმოოს საყოველთაო განიარაღების ან სპეციალურ სახეობათა იარაღის დარგში განიარაღების გონივრული და ურთიერთგარანტირებული გეგმის თაობაზე, ნამდვილი დასაბამი მისცეს გაყოფილი გერმანიის პრობლემათა მოწესრიგების საქმეს და სხვა გზებით დაეხმაროს მსოფლიოში დაძაბულობის შენელებას. ნება მიბოძეთ იმედი გამოვთქვა, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან ჩვენი აზრთა გაზიარება ნაყოფიერი იქნება.

ჩვენ იმათ რიცხვს ვეკუთვნით, ვინც იმედოვნებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის ვიზიტების გაცვლა და მომავალი შეხვედრები და საუბრები ხელს შეუწყობენ იმას, რომ პირდაპირი გზა გაიკაფოს „ცივი ომის“ სრული ლიკვიდაციისაკენ, თუ კი, რასაკვირველია, ორივე მხარეს სურს ამ მიზნის მიღწევა. ასე ვაფასებთ ჩვენს ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში და პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მომავალ ვიზიტს საბჭოთა კავშირში.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი სხვა ფაქტიც, რომლებიც ახასიათებენ ახალ ხელსაყრელ მოვლენებს საერთაშორისო ვითარებაში.

სახელმწიფოთა ურთიერთობაში დათმობის ნიშნები, რა თქმა უნდა, ხელსაყრელ გარემოებათა შემთხვევითი თანადამთხვევის შედეგი როდია. ჩვენ ვფიქრობთ, მსოფლიო ნამდვილად შედის საერთაშორისო ურთიერთობის ახალ ფაზაში. „ცივი ომის“ მძიმე წლები არავისთვის არ შეიძლება უკვალოდ დარჩეს. სულ სხვადასხვა ქვეყნის უბრალო ადამიანებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ბევრი რამ იფიქრეს და ბევრი რამ ისწავლეს. ყველგან განუზომლად გაიზარდნენ ძალები, რომლებიც აქტიურად იბრძვიან ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრული ურთიერთობისათვის.

რა თქმა უნდა, გაუმართლებელი ოპტიმიზმი იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობაში უნდობლობისა და ეჭვების ვითარება უკვე წარსულს ჩაბარდა, რომ დედამიწაზე მშვიდობა უკვე უზრუნველყოფილია და საჭირო აღარ არის ყველა სახელმწიფოს ახალი დაუცხრომელი მეცადინეობა. სამწუხაროდ, ეს ჯერ კიდევ სულაც არ არის ასე. ბევრ სახელმწიფოში ჯერ კიდევ მოქმედებენ და გავლენა აქვთ წრეებს, რომლებიც ხელს უშლიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და თესავენ ახალი კონფლიქტების თესლს. ეს ადამიანები იცავენ ძველსა და დრომოჭმულს, ებღაუჭებიან „ცივი ომის“ მემკვიდრეობას.

მაგრამ მოვლენათა მსვლელობა, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს, გვიჩვენებს, რომ ცდები — ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, დაბრკოლონ ეს საქმე — მხოლოდ სირცხვილში ჩაგდებს იმათ, ვისაც არა სურს ხელი აიღოს ასეთ ცდებზე, რადგან ხალხები მათ მხარს არ დაუჭერენ.

ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა კაცობრიობა წინ მიდის გიგანტური ნაბიჯებით, და იმის მოწმენი ვართ, რომ არა მარტო სწრაფად ვითარდება მრეწველობა, მეცნიერება და ტექნიკა, არამედ ამასთანავე სწრაფად იცვლება მსოფლიოს დიდი რაიონების პოლიტიკური იერი. ოდესღაც ჩამორჩენილი ხალხები თავს აღწევენ კოლონიურ დამოკიდებულებას, უწინდელი კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ადგილას იქმნებიან ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ნება მიბოძეთ სულით და გულით, მხურვალედ მივესალმო აღნიშნულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლებიც ამ დარბაზში იმყოფებიან. **(ტაში).**

ამასთანავე უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ ყველა იმ ხალხს რიდი ჰყავს წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომლებსაც უფლება აქვთ აქ წარმომადგენლები ჰყავდეთ. საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი, მხურვალედ უსურვებს წარმატებას იმ ხალხებს, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიურად დამოკიდებული არიან, მაგრამ გულმოდგინედ იბრძვიან კოლონიური უღლისაგან თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ინგრევა, თანაც საფუძვლიანდ ინგრევა დრომოჭმული კოლონიური სისტემის უკანასკნელი ბასტიონები, და ეს ჩვენი დროის ერთ-ერთი მრავლისმეტყველი ფაქტორია. დახედეთ აზიისა და აფრიკის რუკას და თქვენს თვალწინ გადაიშლება სურათი უცხოელთა საუკუნეობრივი უღლისაგან, უცხოელთა ექსპლოატაციისაგან ასეულ მილიონობით ადამიანის განთავისუფლებისა.

მომავალი თაობანი დიდად დაადასებენ იმათ ღვაწლს, ვინც მეთაურობდა ბრძოლას ინდოეთისა და ინდონეზიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის, განის, გვინეისა და სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისათვის, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი მოქალაქენი დიდად აფასებენ ჯორჯ ვაშინგტონსა და ტომას ჯეფერსონს, რომლებიც ამერიკელი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მეთაურობდნენ.

საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო აქ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან, რომ საბჭოთა კავშირი უაღრესად გულწრფელი სიმპათიითა და უაღრესად ღრმა გაგებით ეკიდება ყველა ხალხს, რომლებიც სხვადა-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

სხვა კონტინენტზე იცავენ თავიანთ თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას. ვფიქრობ, ეს ჩვენი პოზიცია სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, რომლის ქვაკუთხედია ხალხთა თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარების უფლების აღიარება.

თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ვინ უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი ხალხებს, რომლებიც თავისუფლდებიან, ვინ უნდა იზრუნოს მათი იმ განუყოფელი უფლების უზრუნველყოფისათვის, რომ თვითონვე განაგებდნენ საკუთარ ბედს და აშენებდნენ თავიანთ ცხოვრებას ისე, რომ მათზე გარედან არავინ ახდენდეს ზეგავლენას და არ ხელყოფდეს მათ? და განა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვალი არ არის ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი იმ ახალ სახელმწიფოთა ეკონომიურ აღმავლობას, რომლებიც კოლონიური სისტემის ნანგრევებზე იქმნებიან, დაეხმაროს მათ უფრო მალე შექმნან თავიანთი ეროვნული ეკონომიკა. ამას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმ გზით, თუ ასეთ ქვეყნებს ფართო ეკონომიურ დახმარებას გავუწევთ რაიმე პოლიტიკური ან სხვა პირობის დაუდებლად. სწორედ ასეთია საბჭოთა კავშირის პოზიცია იმ ეკონომიური დახმარების საკითხში, რომელსაც ჩვენ ვუწევთ და განზრახული გვაქვს კვლავაც გავუწიოთ ბევრ სახელმწიფოს. ჩვენ ვფიქრობთ, ეს პოზიცია სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს.

საბჭოთა კავშირი აგრეთვე მზად არის მონაწილეობა მიიღოს სხვა სახელმწიფოებთან ერთად ეკონომიური დახმარების გაწევაში ეგრეთწოდებული სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის იმ სახსრების გარკვეული ნაწილის გამოყენების გზით, რომლებიც შეიქმნებოდა საბჭოთა კავშირსა და სხვა სახელმწიფოებში, თუ დაიდებოდა საერთაშორისო შეთანხმება განიარაღებისა და სამხედრო ბიუჯეტების შემცირების შესახებ. ჩვენ წინათაც გვითქვამს, რომ მზადა ვართ ვიკისროთ ასეთი ვალდებულება, და მე უფლებამოსილი ვარ ჩემი მთავრობის მიერ ერთხელ კიდევ განვაცხადო ეს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან.

არის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო, რომელიც, ჩვენი აზრით, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის დახმარების გასაწევად. ბევრი ამ ქვეყნის ხალხებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მაგრამ მათ კვლავ სასტიკ ეკონომიურ ექსპლოატაციას უწევენ უცხოელები. მათს ნავთობისა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეს იტაცებენ, თითქმის მუქთად გააქვთ საზღვარგარეთ, და ეს უდიდეს მოგებას აძლევს უცხოელ ექსპლოატატორებს.

ჩვენ, ისევე როგორც ბევრი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებს, მიგვაჩნია, რომ ეკონომიური დახმარების გაწევის საქმეში არ შეიძლება გავათანაბროთ ისინი, ვინც არ იღებს მონაწილეობას და არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა ყოფილი კოლონიური ქვეყნების ექსპლოატაციაში, და ისინი, ვინც უსინდისოდ განაგრძობს სუსტად განვითარებული ქვეყნების სიმდიდრის მითვისებას. კანონიერი და სამართლიანი იქნებოდა, რომ უცხოელ ექსპლოატატორებს დაებრუნებინათ თუნდაც ნაწილი იმ სიმდიდრისა, რომელიც შეიძინეს ჩაგრული ხალხების ექსპლოატაციით, რათა სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების სახით დაბრუნებული ეს სახსრები გამოყენებულ იქნას მათი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, ამ ქვეყნების ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირი ნამდვილ, უანგარო დახმარებას უწევდა და კვლავაც გაუწევს სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. ჩვენ აქ უკან არ დავიხევთ!

რა უაზრო გადმონაშთებია ჩვენს დროში სხვადასხვა ხელოვნური დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან საერთაშორისო ვაჭრობის სრულ და ყოველმხრივ განვითარებას! სავაჭრო დისკრიმინაციათა მთელმა სისტემამ დიდი ხანია დაიმსახურა ის, რომ იგი დაასამარონ და ამასთან სრულიად უპატიცემლოდ.

როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იცავს სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას მხარეთა თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. ჩვენი ღრმა რწმენით, ვაჭრობა კარგი საფუძველია, რომელზეც შეიძლება წარმატებით განვითარდეს სახელმწიფოების მშვიდობიანი თანამშრომლობა, განმტკიცდეს ურთიერთნდობა ხალხებს შორის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი პოზიცია სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რომელიც ავალებს ყველა სახელმწიფოს, რომლებსაც იგი აერთიანებს, განავითარონ მეგობრული ურთიერთობა ერებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე.

ყველა ჩვენს წინაშე დგას ბევრი გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემა. ყველა ეს პრობლემა ერთნაირი როდია თავისი მნიშვნელობით, თავისი აქტუალობით. ზოგიერთი მათგანი ეხება ცალკეული ქვეყნების ურთიერთობას, სხვები ეხება მთელი რიგი ქვეყნებისა და კონტინენტების ხალხთა ინტერესებს. მაგრამ არის ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრას იმედით მოელიან ყველა, როგორც დიდი, ისე პატარა ქვეყნის ადამიანები, მიუხედავად იმისა, თუ რა საზოგადოებრივი ურთიერთობა და ცხოვრების წესია შექმნილი ამ ქვეყნებში — ეს არის **განიარაღების პრობლემა.** იმაზე, მოხერხდება თუ არა გამოინახოს ამ პრობლემის სწორი გადაჭრა, ბევრად იქნება დამოკიდებული, საითკენ წავა კაცობრიობა — ომისკენ მისი კატასტროფული შედეგებით, თუ გაიმარჯვებს მშვიდობის საქმე. ხალხებს სწყურიათ მშვიდობა, ადამიანებს სურთ იცხოვრონ ისე, რომ არ ჰქონდეთ შიში თავიანთი ბედის გამო, არ ჰქონდეთ იმის შიში, რომ დაკარგავენ თავიანთ მახლობლებს ახალი ომის ცეცხლში.

ხალხები საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდნენ იმაზე, რომ განთავისუფლებულიყვნენ ომის წარმოების გამანადგურებელი საშუალებებისაგან. საუკეთესო მოაზროვნენი, გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები, პარტიები, რომლებიც ყველაზე ახლო იდგნენ მშრომელ ადამიანებთან, აყენებდნენ და იცავდნენ განიარაღების მოთხოვნას. მაგრამ განიარაღების ნაცვლად მსოფლიო უკვე მრავალი ათეული წელია გამალებით იარაღდება.

ვის შეუძლია ამტკიცოს, თუ ტყუილს არ ამბობს, რომ გამალებულმა შეიარაღებამ ხელი შეუწყო თუნდაც ერთი, თუნდაც ყველაზე მარტივი საერთაშორისო საკითხის მოწესრიგებას. პირიქით, გამალებული შეიარაღება მხოლოდ ართულებს და აძნელებს ყველა სადავო პრობლემის გადაჭრას.

კაცობრიობის მთელ ისტორიაში გამალებული შეიარაღება არასოდეს არ უწარმოებიათ ისეთი ტემპებით და იგი არასოდეს არ შეიცავდა იმდენ საფრთხეს, როგორც დღეს, ატომის, ელექტრონიკის საუკუნეში, კოსმოსის დაპყრობის საუკუნეში.

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ სწრაფსასროული ავტომატური იარაღი, ტანკები, შორსსასროული არტილერია და საავიაციო ბომბები ითვლებოდა ადამიანთა გაჟლეტის ყველაზე საშინელ და ყველაზე მძლავრ საშუალებებად. მაგრამ განა შეიძლება შევადაროთ ისინი იმ იარაღს, რომელიც ახლა არის? ახლა დადგა ისეთი სტადია, როცა ძნელია მოიგონო უფრო მძლავრი იარაღი, ვიდრე წყალბადის იარაღია, რომელიც პრაქტიკულად უსაზღვროა თავისი ძალით. თუ შევაერთებთ ნგრევის ყველა საშუალებას, რომლებიც ადამიანთა საზოგადოებას მოეპოვებოდა წარსულში, ყოველივე ეს სიმძლავრის მხრივ შეადგენდა იმის სრულიად უმნიშვნელო ნაწილს, რაც ამჟამად აქვს ორ-სამ დიდ სახელმწიფოს, რომელიც ატომგულის იარაღს ფლობენ.

მე არ გავამეღავნებ დიდ საიდუმლოებას, თუ ვიტყვი, რომ ერთი, სწორედ, ერთი დიდი წყალბადის ბომბის აფეთქების დროს გამოიყოფა ნგრევის უზარმაზარი ენერგია. ამას წინათ მე წავიკითხე ატომგულის ფიზიკის ამერიკელი სპეციალისტის უ. დევიდსონის ნათქვამი. მან აღნიშნა, რომ ერთი წყალბადის ბომბის აფეთქების შედეგად თავისუფლდება მეტი ენერგია, ვიდრე ყველა აფეთქებისაგან, რომელიც ყველა ქვეყანას მოუხდენია ყველა ომის განმავლობაში, რაც კი ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. იგი, როგორც ჩანს, მართალია. განა შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ ომის წარმოების იარაღთა დამანგრეველმა ძალამ მიაღწია ესოდენ კოლოსალურ მასშტაბებს? და განა შეიძლება დავივიწყოთ, რომ დედამიწაზე ამჟამად არ არსებობს არც ერთი პუნქტი, რომელიც მიუწვდომელი იყოს ატომგულისა და რაკეტული იარაღისათვის?

ძნელი წარმოსადგენია, კაცობრიობისათვის რა შედეგები მოჰყვებოდა ომს ნგრევისა და მოსპობის ამ საშინელ საშუალებათა გამოყენებით. თუ ხელს არ შევუშლით ომის დაწყებას, იგი შეიწირავს არა მილიონობით, არამედ მრავალ ათეულ და თვით ასეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს. ეს იქნებოდა ომი, რომელმაც არ იცის განსხვავება ფრონტსა და ზურგს შორის, ჯარისკაცებსა და ბავშვებს შორის. იგი ნანგრევებად აქცევდა მრავალ დიდ ქალაქს, სამრეწველო ცენტრს. გამოიწვევდა კულტურის უდიდესი ძეგლების საძუდამოდ დაღუპვას, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ადამიანის გენიის მეცადინეობით. ეს ომი არც მომავალ თაობებს დაინდობდა. მისი შხამიანი კვალი რადიაქტიური მოწამვლის სახით კიდევ დიდხანს დაასახიჩრებდა ადამიანებს, შეიწირავდა მრავალ სიცოცხლეს.

მსოფლიოში ახლა საშიში მდგომარეობა შეიქმნა. არსებობს სხვადასხვა სამხედრო კავშირები და ერთი წუთითაც არ წყდება გამალებული შეიარაღება. დაგროვდა იმდენი საწვავი მასალა, რომ საკმარისია ერთი ნაპერწკალი, რათა კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ. მსოფლიო იმ ზღვართან იმყოფება, როცა რაიმე უაზრო შემთხვევის გამო, მაგალითად, მართვის ტექნიკა რომ დაუზიანდეს წყალბადისბომბიან თვითმფრინავს, ან ნორმალურმა ფსიქიკამ რომ უღალატოს მფრინავს, რომელიც შტურვალს უზის, ომი შეიძლება ფაქტი გახდეს.

გარდა ამისა, ეს ხომ კარგად ცნობილია, რომ გამალებული შეიარაღება უკვე ახლა მძიმე ტვირთად აწვება ხალხებს. იგი იწვევს სახალხო მოხმარების საგნების ფასების ზრდას, რეალური ხელფასის შემცირებას, დამღუპველ გავლენას ახდენს მრავალი სახელმწიფოს ეკონომიკაზე, იწვევს საერთაშორისო ვაჭრობის მოშლას. ისტორიას არ ახსოვს, რომ საომარ მზადებაში ჩაბმული ყოფილიყო იმდენი სახელმწიფო, ადამიანთა ისეთი მასა, როგორც ჩვენს დროში. თუ სამხედრო მოსამსახურეებს მივუმატებთ აგრეთვე იმათ, ვინც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია იარაღის წარმოებასთან და ჩაბმულია სხვადასხვა სამხედრო კვლევაში, დავინახავთ, რომ მშვიდობიან შრომას მოწყვეტილია 100 მილიონზე მეტი კაცი, ამასთან ყველაზე ენერგიული და მუშაობისუნარიანი მშრომელები, მეცნიერებისა და ტექნიკის ადამიანები. ადამიანის ენერგიის, ცოდნის, გამომგონებლობის, ოსტატობის უდიდესი რაოდენობა თითქოს უძირო კასრში იყრება, მზარდი შეიარაღებით ინთქმება.

ამჟამად ყველა სახელმწიფოს ყოველწლიური სამხედრო ხარჯები შეადგენს დაახლოებით 100 მილიარდ დოლარს. განა დრო არ არის ბოლო მოეღოს სახალხო სახსრების, სახალხო ენერგიის ამ უგუნურ ფლანგვას ომისა და ნგრევის მომზადების მიზნებისათვის?

საბჭოთა მთავრობა, რომელიც თავის საგარეო პოლიტიკაში ხელმძღვანელობს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპით, იბრძვის ყველა ხალხს შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. ჩვენი საშინაო პოლიტიკის მიზანი — ერთადერთი მიზანი სწორედ ის არის, რომ შევქმნათ კაცობრიობის საუკეთესო იდეალების შესაფერი ცხოვრება. ჩვენი შვიდწლიანი გეგმა გამსჭვალულია მშვიდობისმოყვარეობის სულისკვეთებით, ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ზრუნვით. ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზანი—ერთადერთი და უცვლელი — ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ ომი, უზრუნველვყოთ მშვიდობა და უშიშროება ჩვენი ქვეყნისათვის და ყველა ქვეყნისათვის.

დასავლეთის ქვეყნებში ზოგიერთ მოღვაწეს იმედი ჰქონდა, რომ „ცივი ომის“ შედეგად საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მატერიალური რესურსები გამოიფიტება, რომ მათს ეკონომიკას ძირი გამოეთხრება. მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა. თუმცა საბჭოთა კავშირს უხდება შეიარაღების გარკვეული სიმძიმის გადატანა, იგი ამავე დროს უზრუნველყოფს თავისი ეკონომიკის სწრაფ განვითარებას, თავისი ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას. რა თქმა უნდა, ხალხის მატერიალური მოთხოვნილებანი უკეთ დაკმაყოფილდებოდა, თუ მხრებიდან მოვიხსნიდით შეიარაღების სიმძიმეს.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის განიარაღებისათვის. ჩვენს სახელმწიფოში არ არიან კლასები და ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ომითა და გამალებული შეიარაღებით, სხვათა ტერიტორიების დაპყრობით. ყველა დაგვეთანხმება, რომ იმ გრანდიოზული მიზნების განსახორციელებლად, რომლებიც ჩვენ დავისახეთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიური მშენებლობის გეგმების შესრულების საქმეში, გვესაჭიროება მშვიდობა. ჩვენ გვინდა, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებს, რომლებისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, მთლიანად გამოვიყენოთ ჩვენი ეკონომიკა და რესურსები მშვიდობიანი მიზნებისათვის, რათა უხვად მოვამარაგოთ ადამიანები კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, ბინებითა და სხვა სიკეთით. მაგრამ გამალებული შეიარაღების ახლანდელ პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ღონისძიებანი მთლიანად მოვახმაროთ მშვიდობიან მშენებლობას, ისე რომ საფრთხე არ შევუქმნათ ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, ჩვენი ქვეყნის უშიშროების ინტერესებს.

მშვიდობა ესაჭიროება ყველა ხალხს. როცა მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა კონკრეტული წინადადებანი განიარაღების შესახებ. ჩვენ შევიტანეთ წინადადება სავსებით აიკრძალოს ატომური იარაღი, არსებითად შემცირდეს შეიარაღებული ძალები და შეიარაღება, მკვეთრად შემცირდეს შეიარაღების ხარჯები. ჩვენ მოვითხოვეთ უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვათა ტერიტორიებზე და სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების გაყვანა უცხოეთის ტერიტორიებიდან.

ჩვენი მისწრაფება განიარაღების პრობლემის გადაჭრისადმი დავამტკიცეთ არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმეებითაც. საბჭოთა კავშირმა არაერთგზის გამოიჩინა ინიციატივა და გადადგა კონკრეტული ნაბიჯები იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას და რაც შეიძლება მალე დაიწყოს განიარაღების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება. ომის დამთავრებისთანავე ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა შეიარაღებული ძალების ფართო დემობილიზაცია. საბჭოთა კავშირმა სავსებით გააუქმა თავისი სამხედრო ბაზები, რომლებიც ჰქონდა მას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე.

მოგაგონებთ, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიცხვი ცალმხრივი წესით საერთოდ 2 მილიონი კაცით და უფრო მეტით შემცირდა. მნიშვნელოვნად შემცირდა სსრ კავშირის ის შეიარაღებული ძალები, რომლებიც იმყოფებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, და მთლიანად გამოყვანილია საბჭოთა ჯარები რუმინეთის სახალხო რესპუბლიკიდან. ჩვენ მნიშვნელოვნად შევამცირეთ სამხედრო ხარჯები.

საბჭოთა კავშირმა 1958 წელს ცალმხრივად შეწყვიტა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა იმ იმედით, რომ ეს კეთილშობილური თაოსნობა მაგალითი გახდებოდა სხვა სახელმწიფოებისათვის. დასანანია მხოლოდ, რომ ეს იმედები არ გამართლდა. ახლა საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება არ განაახლოს საბჭოთა კავშირში ატომგულის აფეთქებანი, თუ დასავლეთის სახელმწიფოები არ განაახლებენ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი განაახლებენ ატომური იარაღის გამოცდას, საბჭოთა კავშირი თავისუფალი იქნება ნაკისრი ვალდებულებისაგან.

აი უკვე 14 წელზე მეტია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა საერთაშორისო თათბირები განიხილავენ განიარაღების პრობლემას. მაგრამ დღემდე არ არის მიღწეული რაიმე პრაქტიკული შედეგი. რა არის ასეთი მდგომარეობის მიზეზი? მე არ მინდა ვქქქო წარსული, დავიწყო იმ დაბრკოლებათა და უთანხმოებათა გარჩევა, რომლებიც იქმნებოდა განიარაღების შესახებ მოლაპარაკების მსვლელობაში, მით უფრო არ მინდა წამოვაყენო ბრალდება ვინმეს წინააღმდეგ. ახლა მთავარი ეს როდია. ჩვენი ღრმა რწმენთ, მთავარი ის არის, რომ აღმოვფხვრათ ძირითადი დაბრკოლებანი, რომლებიც შექმნილია განიარაღების გზებზე, ვეცადოთ გამოვნახოთ ახალი მიდგომა ამ პრობლემის გადაჭრისადმი.

განიარაღების შესახებ მოლაპარაკების გამოცდილებამ სავსებით ცხადყო, რომ შეთანხმების მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი დაბრკოლებაა კონტროლის საკითხი. ჩვენ მოვითხოვდით და მოვითხოვთ მტკიცე საერთაშორისო კონტროლს განიარაღების შესახებ შეთანხმების შესრულებისადმი, როცა ასეთი შეთანხმება მიღწეულ იქნება. მაგრამ ჩვენ ყოველთვის იმის წინააღმდეგი ვიყავით, რომ კონტროლის სისტემა მოწყვეტილი იყოს განიარაღების ღონისძიებებს, რომ კონტროლის ორგანოები არსებითად გახდნენ დაზვერვის მონაცემების შემგროვებელი ორგანოები იმ პირობებში, როცა განიარაღება ფაქტიურად არ განხორციელდებოდა.

ჩვენ მოვითხოვთ კონტროლსდაქვემდებარებულ ნამდვილ განიარაღებას, მაგრამ წინააღმდეგი ვართ კონტროლისა განუიარაღებლად. განიარაღების მოწინააღმდეგეებს ყოველი ღონისძიება შეუძლიათ ადვილად განაპირობონ კონტროლის ისეთი მოთხოვნებით, რომელთა დაკმაყოფილება საყოველთაო გამალებული შეიარაღების პირობებში არ ძალუძთ სხვა სახელმწიფოებს. როგორც ჩანს, იმ სახელმწიფოებსაც, რომლებიც ამა თუ იმ მოსაზრებით აყენებენ ესოდენ დიდ მოთხოვნებს კონტროლის შესახებ, ნამდვილად თვითონ არ ექნებოდათ სურვილი მიეღოთ ეს მოთხოვნები, საქმე რომ მათ განხორციელებამდე მისულიყო.

არის სხვა სიძნელეც. სანამ განიარაღება გათვალისწინებულია მხოლოდ როგორც ნაწილობრივი და იგულისხმება, რომ განიარაღების შესახებ შეთანხმების დადების შემდეგ რჩება ესა თუ ის შეიარაღება, სახელმწიფოებს კვლავ ექნებოდათ მატერიალური შესაძლებლობა თავდასხმისათვის. ყოველთვის იქნებოდა შიში, რომ დარჩენილ სახეობათა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საშუალებით კვლავაც იქნება თავდასხმის შესაძლებლობა. იმის შეგნება, რომ ასეთი შესაძლებლობა დარჩება, დიდად აძნელებდა მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ.

ბევრი სახელმწიფო შიშობდა, რომ განიარაღების ღონისძიებანი შეეხება სწორედ იმ სახეობათა იარაღს, რომლებშიც მათ აქვთ მეტი უპირატესობა და რომლებიც მიაჩნიათ მათ განსაკუთრებით საჭიროდ. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში, „ცივი ომისა“ და ერთმანეთისადმი ეჭვების ვითარებაში, ვერც ერთი სახელმწიფო, თუ სერიოზულად ვიტყვით, და არა საპროპაგანდოდ, ვერ გამოამჟღავნებდა თავის სამხედრო საიდუმლოებებს, თავდაცვის ორგანიზაციასა და სამხედრო წარმოებას ისე, რომ ზიანი არ მიეყენებინა თავისი ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის.

დარწმუნებული ვარ, ყველა დელეგატი დაეთანხმება იმას, რომ საჭიროა ყველა სახელმწიფოს, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, კოლექტიური გონება წარვმართოთ იმისათვის, რომ გამოვნახოთ ახალი მიდგომა განიარაღების პრობლემის გადაჭრისადმი.

ამოცანა ის არის, რომ გამოვნახოთ ბერკეტი, რომლის ხელის ჩაჭიდებითაც შეიძლება შევაჩეროთ კაცობრობის გადაჩეხვა ომის უფსკრულში. ახლა საჭიროა ერთი რამ— მოვსპოთ ომის ატეხის თვით შესაძლებლობა. სანამ არსებობენ დიდი არმიები, სამხედრო ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ატომური და რაკეტული იარაღი, სანამ ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც ცხოვრებას იწყებენ, უშინაარეს ყოვლისა ასწავლიან საომარ საქმეს, ხოლო გენერალური შტაბები ამუშავებენ მომავალ სამხედრო ოპერაციათა გეგმებს, მტკიცე მშვიდობის გარანტია არ არის.

საბჭოთა მთავრობამ ყოველმხრივ განიხილა შექმნილი სიტუაცია და მტკიცედ დარწმუნდა, რომ **ჩიხიდან გამოსავალი უნდა ვეძებოთ საყოველთაო და სრული განიარაღების გზებზე.** ასე თუ მიეფუდგებით საკითხს, სავსებით აღიკვეთება ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის რაიმე სამხედრო უპირატესობის შექმნის შესაძლებლობა. **სწორედ საყოველთაო და სრული განიარაღება აღმოფხვრის ყველა დაბრკოლებას, რომლებსაც ქმნიდნენ ნაწილობრივი განიარაღების საკითხების განხილვის დროს, და გზას გაუკაფავს ყოვლისმომმეველი, სრული კონტროლის დაწესებას.**

რას მოითხოვს საბჭოთა მთავრობა?

ჩვენი წინადადებების არსი ის არის, რომ ოთხი წლის განმავლობაში ყველა სახელმწიფომ განახორციელოს სრული განიარაღება და აღარ ექნეთ ომის წარმოების საშუალებანი.

ეს იმას ნიშნავს, რომ აღარ იარსებებენ სახმელეთო არმიები, სამხედრო-საზღვაო ფლოტები და სამხედრო-საჰაერო ძალები, გაუქმდება გენერალური შტაბები და სამხედრო სამინისტროები, დაიხურება სამხედრო სასწავლებლები, ათეულ მილიონობით ადამიანი დაუბრუნდება მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

სხვის ტერიტორიებზე განლაგებული სამხედრო ბაზები გაუქმდება.

სახელმწიფოთა განკარგულებაში არსებული მთელი ატომური და წყალბადის ბომბები მოისპობა, მათი შემდგომი წარმოება შეწყდება. ხლეჩადი მასალების ენერგია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან სამეურნეო და მეცნიერულ მიზნებს მოხმარდება.

მოქმედების ყველა რადიუსის სამხედრო რაკეტები მოისპობა, რაკეტული ტექნიკა კი დარჩება მხოლოდ როგორც ტრანსპორტის და კოსმოსის სივრცის ათვისების საშუალება მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

სახელმწიფოთა განკარგულებაში უნდა დარჩეს მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული, თვითეული ქვეყნისათვის შეთანხმებული პოლიციის (მილიციის) კონტინგენტები, რომლებიც შეიარაღებული იქნებიან მსუბუქი სასროლი იარაღით და განკუთვნილი იქნებიან მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი წესრიგის დასაცავად და მოქალაქეთა პირადი უშიშროების დასაცავად.

იმისათვის, რომ ვერავინ ვერ დაარღვიოს თავისი ვალდებულებანი, ჩვენი წინადადებაა დაარსდეს საერთაშორისო საკონტროლო ორგანო ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით. უნდა შეიქმნას სისტემა კონტროლისა განიარაღების ყველა ღონისძიებისადმი, სისტემა, რომელიც უნდა შეიქმნას და უნდა მოქმედებდეს იმ ეტაპების შეფარდებით, რომელთა მიხედვითაც უნდა ხორციელდებოდეს განიარაღება.

თუ განიარაღება ყოვლისმომცველი და სრული იქნება, მისი დამთავრების შემდეგ კონტროლიც აგრეთვე საყოველთაო და სრული იქნება. სახელმწიფოებს არაფერი ექნებათ დასამალავი ერთიმეორისათვის: არც ერთ მათგანს არ ექნება იარაღი, რომლის აღმართვა შეიძლებოდეს მეორის წინააღმდეგ, მაშინ კონტროლიორებიც **[illegible]** მთელი სისრულით გამოიჩინონ თავიანთი გულმოდგინეობა.

განიარაღების საკითხთა ასეთი გადაჭრა უზრუნველყოფს ყველა სახელმწიფოს სრულ უშიშროებას. იგი ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. მაშინ ყველა საერთაშორისო პრობლემა გადაიჭრება არა იარაღის ძალით, არამედ მშვიდობიანი საშუალებებით.

ჩვენ რეალური პოლიტიკოსები ვართ და გვესმის, რომ განიარაღების ასეთი ფართო პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო იქნება გარკვეული დრო. სანამ ასეთი პროგრამა დამუშავების პროცესში იქნება, სანამ იწარმოებს საკითხების შეთანხმება, გულხელდაკრეფილი ჯდომა და ლოდინი როდი შეიძლება.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის შემუშავებამ არ უნდა დააყოვნოს ისეთი მწვავე და სავსებით მომწიფებული საკითხის გადაჭრა, როგორიც არის ატომგულის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის საკითხი. ახლა ყველა წანამძღვარი გვაქვს ასეთი გადაწყვეტილებისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სათანადო შეთანხმება გამოცდის შეწყვეტის შესახებ დაიდება და დაუყოვნებლივ განხორციელდება.

რაკეტულ-ატომური ომის საფრთხე, რომელიც ხალხებს მოელის, მოითხოვს გაბედულ, შორს გამიზნულ გადაწყვეტილებებს მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილება, რომ მოკლე ვადებში განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება, და მისი განხორციელება დასაბამს მისცემდა ახალ ეტაპს საერთაშორისო ცხოვრებაში. სახელმწიფოთა თანხმობა — შეუდგნენ საყოველთაო სრულ განიარაღებას—იმის დამაჯერებელი დადასტურება იქნებოდა, რომ მათ ნამდვილად არა აქვთ რაიმე აგრესიული განზრახვა და გულწრფელად სურთ თავიანთი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან ააგონ მეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძველზე. იარაღის მოსპობისა და შეიარაღებული ძალების გაუქმების შემდეგ არ დარჩებოდა რაიმე მატერიალური შესაძლებლობა იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა განახორციელონ სხვა პოლიტიკა, გარდა მშვიდობიანი პოლიტიკისა.

სრულ განიარაღებას თუ განახორციელებდა, კაცობრიობა განიცდიდა ისეთ გრძნობას, რომელიც მოიცავს ხოლმე დაღლილობით ღონემიხდილს და დაღუპვის საფრთხის წინაშე შიშით, წყურვილისაგან და ქანცგამოლევისაგან ტანჯულ მგზავრს უდაბნოში, როცა იგი დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ოაზისს მიაღწევს.

საყოველთაო და სრული განიარაღება შესაძლებლობას მოგვცემდა უდიდესი მატერიალური და ფინანსური საშუალებანი სიკეთედილის იარაღის წარმოების ნაცვლად შემოქმედებითი მიზნებისათვის გამოგვეყენებინა. ადამიანთა ენერგია შეიძლება მოხმარდეს მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნას, რომლებიც ამშვენებენ და აკეთილშობილებენ ადამიანთა შრომასა და ცხოვრებას.

საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელება საშუალებას მოგვცემდა უდიდესი სახსრები გამოგვეყენებინა სკოლების, საავადმყოფოების, საცხოვრებელი სახლების, გზების მშენებლობაზე, სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოებაზე. განთავისუფლებული სახსრები საშუალებას მოგვცემდა არსებითად შეგვემცირებინა გადასახადები, შეგვემცირებინა ფასები. ეს სასიკეთო გავლენას მოახდენდა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, რასაც მიესალმებოდა მილიონობით უბრალო ადამიანი. მარტო იმ სახსრებით, რომლებიც სახელმწიფოებმა უკანასკნელ ათ წელიწადში სამხედრო საჭიროებისათვის დახარჯეს, შეიძლებოდა ეგოთ 150 მილიონზე მეტი სახლი, რომლებშიც ყოველგვარი კომფორტით მოთავსდებოდა მრავალი ასეული მილიონი ადამიანი.

საყოველთაო სრული განიარაღება შექმნიდა აგრეთვე იმის სავსებით ახალ შესაძლებლობას, რომ დახმარება გაუწიოთ სახელმწიფოებს, რომელთა ეკონომიკა ამჟამად ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული და ესაჭიროება უფრო განვითარებული ქვეყნების დახმარება. ასეთი სახელმწიფოების დასახმარებლად იმ სახსრების თუნდაც მცირე ნაწილი რომ გამოიყოს, რომლებიც განთავისუფლდება დიდ სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯების შეწყვეტის შედეგად, ეს პირდაპირ ახალ ეპოქას შექმნიდა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ეკონომიურ განვითარებაში.

მოისპობოდა ხელოვნური დაბრკოლებანი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების გზაზე, დაბრკოლებანი, რომლებიც დღეს არსებობენ დისკრიმინაციული შეზღუდვების, აკრძალვითი სიების სახით და სხვ. ისეთი ქვეყნების მრეწველობა, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია და სხვა დიდად განვითარებული ქვეყნები, ბოლოს და ბოლოს შეძლებდა მიეღო დიდი შეკვეთები სხვა სახელმწიფოებიდან. განიარაღების შედეგად განთავისუფლებული სახსრების გამოყენება უფართოეს შესაძლებლობებს შექმნიდა მოსახლეობის დასაქმებულობისათვის. ამიტომ არ არის სწორი მტკიცება, თითქოს განიარაღებას მოჰყვება კრიზისი ან ეკონომიური დაქვეითება კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებში, რომელსაც მაღალ განვ

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

რებებს ნაწილობრივი ნაბიჯების შესახებ განიარაღების დარგში. იგი დარწმუნებულია, რომ ეს წინადადებები კარგი საფუძველია ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაზე შეთანხმებისათვის.

საყოველთაო და სრული განიარაღების იდეა საბჭოთა კავშირმა პირველად როდი წამოაყენა. ჯერ კიდევ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შუა პერიოდში ჩვენი ქვეყნის მთავრობამ დასახა სრული განიარაღების გაშლილი პროგრამა. მაშინ განიარაღების მოწინააღმდეგეებს უყვარდათ ლაპარაკი იმაზე, რომ საბჭოთა კავშირმა თითქოს იმიტომ შეიტანა ეს წინადადებანი, რომ სუსტი სახელმწიფო იყო ეკონომიურად და სამხედრო დარგში. თუ იმ დროს ამ ყალბ თეზისს კიდევ შეეძლო ვინმე შეცდომაში შეეყვანა, ახლა ყველასათვის ცხადია, რომ მსჯელობა საბჭოთა კავშირის რაღაც სისუსტის შესახებ აბსურდია.

საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადება ნაკარნახევია ერთადერთი სურვილით — უზრუნველყოს ნამდვილად მტკიცე მშვიდობა ხალხთა შორის.

ჩვენ გულწრფელად ვეუბნებით ყველა ქვეყანას: „წინააღმდეგ ლოზუნგისა „მოდით შევიარაღდეთ!“, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს ზოგან გასავალი, ჩვენ ვაყენებთ ლოზუნგს: „მოდით მთლიანად განვიარაღდეთ!“. უმჯობესია შევეჯიბროთ ერთმანეთს იმაში, თუ ვინ უფრო მეტ საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, სამკურნალოებს აშენებს თავისი ხალხისათვის, ვინ აწარმოებს მეტ პურს, რძეს, ხორცს, ტანსაცმელსა და სხვა სამომხმარებლო საქონელს და არა იმაში, თუ ვის უფრო მეტი წყალბადის ბომბი და რაკეტა აქვს. ამას მიესალმება ყველა ხალხი დედამიწაზე.

ბატონო დელეგატებო!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომლის გენერალურ ასამბლეაზე მე დღეს პატივი მქონდა გამოვსულიყავი, შეუძლია შეასრულოს და კიდევაც უნდა შეასრულოს დიდი როლი საერთაშორისო საქმეებში. ასამბლეის მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ იქ წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა ქვეყანა. ისინი გაერთიანდნენ იმისათვის, რომ ერთად განიხილონ საერთაშორისო ურთიერთობის მომწიფებული პრობლემები. თუ ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს არ ძალუძთ შეთანხმდნენ ერთმანეთში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დახმარება უნდა გაუწიოს ამ სახელმწიფოებს. მისი როლი ასეთ შემთხვევაში გამოიხატება იმით, რომ აღმოფხვრას სახელმწიფოების ურთიერთობაში მწვავე მომენტები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ კონფლიქტები, გამწვავება და ომებიც კი. როცა შეასრულებს თავის მთავარ როლს საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების საქმეში, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოიპოვებს ჯეროვან პატივისცემას და მისი ავტორიტეტი გაიზრდება.

მაგრამ სრული გულახდილობით უნდა ვთქვა, რომ ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მთელ რიგ შემთხვევებში, სამწუხაროდ, ვერ ასრულებს ასეთი ხასიათის თავის ფუნქციებს. ზოგჯერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საკითხების არასწორი დასმით ზედმეტადაც კი მწვავდება სახელმწიფოების ურთიერთობა.

რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილე ყველა სახელმწიფო როდი ეკიდება საჭირო პატივისცემით ამ ორგანოს, რომელზეც კაცობრიობა ამდენ იმედს ამყარებს. იმის ნაცვლად, რომ მუდამ იცავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს, რათა იგი ნამდვილად იყოს ყველაზე ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანო, რომელსაც მუდამ მიმართავდნენ ყველა ქვეყნის მთავრობები, როცა საჭირო გახდება მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გადაჭრა, ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობს გამოიყენოს იგი თავისი ვიწრო ინტერესებისათვის. რა თქმა უნდა, საერთაშორისო ორგანიზაციას არ შეუძლია ეფექტიანად იმოქმედოს მშვიდობის სასარგებლოდ, თუ მის შიგნით არის ქვეყნების ჯგუფი, რომელიც ახორციელებს იმ პოლიტიკას, რომ სახელმწიფოებმა თავიანთი ნება თავს მოახვიონ ერთიმეორეს. ასეთი პოლიტიკა ძირს გამოუთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. თუ საქმე შემდეგშიც ასეთი მიმართულებით განვითარდა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ფრაქციული, ამას მოჰყვება არა სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესება, არამედ მისი გაუარესება. ორგანოდან, რომელიც გამოხატავს ყველა მისი წევრის ინტერესებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადაიქცეოდა სახელმწიფოთა ჯგუფის ორგანოდ, რომელიც განახორციელებდა ამ ჯგუფის პოლიტიკას და არა მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის პოლიტიკას. პირველ სტადიაში ეს გამოიწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი უპატივცემლობას, შემდეგ კი ამას შეიძლება მოჰყვეს მისი დაშლა, ისევე როგორც ეს თავის დროზე მოუვიდა ერთა ლიგას.

სწორადმოქმედი საერთაშორისო ორგანოს თავისებურება იმით გამოიხატება, რომ აქ საკითხები უნდა გადაწყდეს არა ხმების ფორმალური დათვლით, არამედ ყველასათვის მისაღები სამართლიანი გადაწყვეტილების გონივრული და მოთმინებითი ძიების გზით. ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფოები, რომელთა ნებეს წინააღმდეგაც იღებენ უსამართლო გადაწყვეტილებას, დათანხმდებიან მის შესრულებაზე. ეს მათს გულში ტოვებს მწარე უსიამოვნო გრძნობას. გაიხსენეთ, რამდენი იყო ასეთი შემთხვევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიაში! ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უნდა მივიღოთ მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ყველა მისცემს ხმას, რაკი დაინახავს ამ გადაწყვეტილებებში საერთო ნების, საერთო ინტერესების გამოხატულებას. ასეთ გადაწყვეტილებებს როგორც ერთადერთ სწორ და ერთადერთ შესაძლო გადაწყვეტილებებს ცნობს ჩვენი თაობა და ცნობენ ისტორიკოსებიც მომავალში.

რასაკვირველია, სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელსაც ამ მომენტში უმეტესობა ჰყავს, შეუძლია მიაღწიოს თავისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ ეს „პიროსის გამარჯვება“ იქნება. ასეთი „გამარჯვებანი“ ზიანს აყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ანგრევენ მას.

აგრეთვე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ უმეტესობა ამა თუ იმ საკითხთა კენჭისყრის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ცვალებადი სიდიდეა, და იგი შეიძლება შეიცვალოს არა იმათ სასარგებლოდ, ვინც ახლა ესოდენ ხშირად ამყარებს იმედს კენჭისყრის მექანიზმზე. რუსული ანდაზა ამბობს, „რასაც დათესავ, იმას მოიმკიო“, ამრიგად ყველაზე გონივრული და შორსმჭვრეტელური იმ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა ერთობლივი ძიების პოლიტიკაა, რომლებიც ნაკარნახევია მხოლოდდამხოლოდ ზრუნვით მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობისათვის.

როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უშიშროების საბჭო იქმნებოდა, მას საფუძვლად დაუდეს შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა იდეა. ამასთან მშვიდობის დაცვისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაეკისრათ დიდ სახელმწიფოებს, რომელთა წარმომადგენლები უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან. საჭიროდ ჩაითვალა, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში გართულებათა თავიდან ასაცილებლად დაწესებულიყო უშიშროების საბჭოში დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპი, რასაც ვეტოს უფლება ეწოდება.

ზოგნი ვეტოს წინააღმდეგი არიან, მაგრამ თუ ვეტო არ იქნება, არც საერთაშორისო ორგანიზაცია იქნება, იგი დაიშლება. ვეტოს პრინციპი ავალებს დიდ სახელმწიფოებს, რომ ყველა საკითხზე, რომლებიც უნდა განიხილოს უშიშროების საბჭომ, მიაღწიონ ისეთ ერთსულოვან გადაწყვეტილებას, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობის ეფექტიან დაცვას. უმჯობესია ვცდილობდეთ მივაღწიოთ დიდ სახელმწიფოთა ერთხმივ გადაწყვეტილებას, ვიდრე საერთაშორისო საკითხები იარაღის ძალით წყდებოდეს.

ბატონო დელეგატებო! მე ვეცადე გულახდილად გამომეთქვა ზოგიერთი აზრი საერთაშორისო ვითარების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ გვესმის ჩვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანები. დარწმუნებული ვართ, რომ წინადადებებს, რომლებიც ჩვენ საბჭოთა მთავრობის დავალებით გამოვთქვით, თანაგრძნობით მოეკიდებიან ყველა ქვეყნის მეტი წილი ხალხები, აგრეთვე დელეგატები, რომლებიც ამ დარბაზში სხედან.

პირობას ვაძლევ გენერალური ასამბლეის დელეგატებს, რომ საბჭოთა კავშირის სახით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას კვლავაც ეყოლება ყველაზე აქტიური მონაწილე ყველა ღონისძიებაში, რომელთა მიზანია კაცობრიობის განთავისუფლება შეიარაღების ტვირთისაგან და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება. გმადლობთ, ბატონებო, ყურადღებისათვის.

(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია

საბჭოთა მთავრობამ 18 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად შეიტანა საყოველთაო და სრული განიარაღების ფართო პროგრამა.

ეს პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა მთავრობის დეკლარაციაში, ითვალისწინებს: დაიშალოს მთელი შეიარაღებული ძალები და აიკრძალოს მათი რაიმე სახით აღდგენა; მოისპოს ყველა სახეობის სამხედრო ტექნიკა, შეიარაღება და საბრძოლო მარაგი; სავსებით აიკრძალოს ატომური იარაღი და ლიკვიდირებულ იქნას მისი მარაგი; სავსებით შეწყდეს ყველა სახეობის რაკეტული იარაღის, მათ შორის სამხედრო დანიშნულების კოსმოსური რაკეტების წარმოება და მოისპოს ისინი; აიკრძალოს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომის საშუალებანი და მოისპოს ამ სახეობათა იარაღის მარაგი.

საბჭოთა წინადადებანი განიარაღების შესახებ ითვალისწინებენ მოხდეს სხვის ტერიტორიებზე არსებული სამხედრო ბაზებისა და რაკეტების გასაშვები ყველა დანადგარის ლიკვიდაცია, სამხედრო წარმოების ლიკვიდაცია; გაუქმდეს ყოველი ფორმის სამხედრო სამსახური და სამხედრო საქმის სწავლება; გაუქმდეს სამხედრო სამინისტროები, გენერალური შტაბები, ყველა სხვა სამხედრო უწყება, ორგანიზაცია და დაწესებულება; შეწყდეს ახსრების გაცემა სამხედრო მიზნებისათვის ყოველი წყაროდან, აიკრძალოს ომის პროპაგანდა და ახალგაზრდობის სამხედრო აღზრდა, გამოიცეს კანონები, რომლებიც გაითვალისწინებენ უაღრესად სასტიკ სასჯელს ზეგრამოთვლილი რომელიმე პუნქტის დარღვევისათვის. სახელმწიფოთა განკარგულებაში უნდა დარჩეს მხოლოდ ფეთიული ქვეყნისათვის შეთანხმებული კონტინგენტები პოლიციისა (მილიციისა) შინაგანი წესრიგისა და მოქალაქეთა პირადი უშიშროების დასაცავად.

საბჭოთა კავშირის წინადადებაა განიარაღების ეს ფართო პროგრამა განხორციელდეს ოთხ წელიწადში სამ ეტაპად.

წინადადების მიხედვით პირველ ეტაპზე უნდა შემცირდეს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების რიცხვი 1700 ათას კაცამდე, ხოლო დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის — 650 ათას კაცამდე თვითეული სახელმწიფოსათვის. სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების რიცხვი შემცირდეს იმ დონემდე, რომელიც შეთანხმებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე ან საყოველთაო და სრული განიარაღების მსოფლიო კონფერენციაზე.

მეორე ეტაპზე საბჭოთა მთავრობის წინადადებაა ლიკვიდირებულ იქნას დარჩენილი შეიარაღებული ძალები და ყველა სამხედრო ბაზა სხვის ტერიტორიებზე.

ყველა სახეობის ატომგულისა და რაკეტული იარაღის მოსპობა, სამხედრო ავიაციის მატერიალური ნაწილის ლიკვიდაცია, სამხედრო სამინისტროების გაუქმება, სამხედრო მიზნებისათვის სახსრების გაღების შეწყვეტა და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია განიარაღების პროგრამით, ხორციელდება მესამე ეტაპზე.

საყოველთაო სრული განიარაღების ღონისძიებათა დროზე შესრულებისათვის თვალყურის სადევნებლად საბჭოთა მთავრობის წინადადებაა დაარსდეს საერთაშორისო საკონტროლო ორგანო ყველა სახელმწიფოს შემადგენლობით.

დეკლარაციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ საბჭოთა წინადადება ყველა სხვა წინადადებისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი განხორციელების დროს გამორიცხულია პირობების რაიმე უთანასწორობა, ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის რაიმე სამხედრო უპირატესობის შექმნის შესაძლებლობა. ასეთი განიარაღება სავსებით ახალ საფუძველზე დააყენებდა იმ ქვეყნების ურთიერთობას, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემებსა და სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებს ეკუთვნიან. მოიხსნებოდა ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრივ შესაძლო აგრესიის შიში. სახელმწიფოთა ურთიერთობის განვითარების სხვა გზა — გარდა მშვიდობიანი თანაარსებობისა — საერთოდ გამორიცხული იქნებოდა. სახელმწიფოებს შორის დამყარდებოდა ნდობის ატმოსფერო, შეიქმნებოდა ყველა აუცილებელი პირობა ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

დეკლარაცია მოტყუებითს უწოდებს განიარაღების მოწინააღმდეგეთა მიერ საკითხის დაყენებას იმის შესახებ, რომ იარაღის წარმოების შეწყვეტა თითქოს აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიურ სიძნელეებს და სამუშაოს დაკარგვინებს ბევრ ადამიანს. ცხადია, რომ იმ უდიდესი სახსრების გამოყენება მშვიდობიანი საჭიროებისათვის, რომლებიც სამხედრო მიზნებს ხმარდება, უაღრესად ფართო შესაძლებლობებს შექმნის მოსახლეობის დასაქმებისათვის.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ, თუ ამა თუ იმ მიზეზის გამო დასავლეთის სახელმწიფოები არ გამოთქვამენ მზადყოფნას დათანხმდნენ საყოველთაო სრულ განიარაღებაზე, საბჭოთა მთავრობა, ისევე როგორც წინათ, მზად არის შეუთანხმდეს სხვა სახელმწიფოებს განიარაღებისა და უშიშროების განმტკიცების შესაბამისი ნაწილობრივი ნაბიჯების შესახებ.

ასეთ ნაბიჯებს შორის, სსრ კავშირის მთავრობის აზრით, მთავარია კონტროლისა და ინსპექციის ზონის შექმნა და უცხოეთის ჯარების შემცირება დასავლეთ ევროპის შესაბამის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე; უატომო ზონის შექმნა ცენტრალურ ევროპაში; უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანა ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიიდან და სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვის ტერიტორიებზე; თავდაუსხმელობის პაქტის დადება ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის; შეთანხმება საკითხზე სახელმწიფოთა ერთიმეორეზე უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების შესახებ.

საბჭოთა მთავრობა მოაგონებს თავის 1955 წლის 10 მაისის წინადადებათა შესახებ და გამოთქვამს რწმენას, რომ ისინი კარგ საფუძველს წარმოადგენენ განიარაღების საკითხზე შეთანხმებისათვის. რაც შეეხება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს, ნათქვამია დეკლარაციაში, საბჭოთა მთავრობა ემხრობოდა და ემხრობა მისი გამოცდის დაუყოვნებლივ სამუდამოდ შეწყვეტას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა

საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა-მოსამსახურეთა შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანისა და ხელფასის მოწესრიგების დამთავრების ვადების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დაამტკიცა ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობისა და მშრომელთა ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლების პროგრამა — სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დიდებული პროგრამა.

ხელმძღვანელობენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით და ითვალისწინებენ რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის — შვიდწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ **მიიღეს დადგენილება იმის შესახებ, თუ რა ვადებში უნდა დამთავრდეს მუშა-მოსამსახურეთა შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანა და ხელფასის მოწესრიგება სახალხო მეურნეობის დარგებსა და ეკონომიურ რაიონებში.**

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა მუშა-მოსამსახურეთა დადასაყვანად შემოკლებულ სამუშაო დღეზე და ხელფასის მოსაწესრიგებლად. ქვანახშირის მრეწველობისა და შავი მეტალურგიის მუშათა და მოსამსახურეთა შემდეგ 1958-1959 წლებში გადაყვანილი არიან შვიდი საათის სამუშაო დღეზე (ხოლო მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული წამყვან პროფესიათა მუშები— ექვსი საათის სამუშაო დღეზე) და შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, ცემენტის მრეწველობის, რკინაბეტონის ნაკეთობათა და კონსტრუქციათა წარმოების, მარილისა და ოზოკერიტის მოპოვების საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები. წარმოებს მოსამზადებელი მუშაობა და 1959 წელს დაიწყება მანქანათსამშენებლო და ლითონდასამუშავებელი, ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანა და ამავე დროს ხელფასის მოწესრიგება.

შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანა და ამავე დროს ხელფასის მოწესრიგება, უწინარეს ყოვლისა, მძიმე მრეწველობის ძირითად დარგებში, სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების დიდმნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. გაძლიერდა მუშაკთა მატერიალური დაინტერესება წარმოების ზრდითა და შრომის ნაყოფიერების გადიდებით, საწარმოებმა გააუმჯობესეს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულება და სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების პირობებში ხელფასი მუშა-მოსამსახურეებს არა თუ შეუნარჩუნდათ, არამედ ახალი გადიდებული განაკვეთებისა და ხელფასების შემოღებასთან დაკავშირებით არსებითად გაუდიდდათ, განსაკუთრებით მცირეხელფასიან მუშებსა და მოსამსახურეებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ საჭიროდ ცნეს განახორციელონ სახალხო მეურნეობის ყველა მუშისა და მოსამსახურის გადაყვანა შვიდი საათის სამუშაო დღეზე, ხოლო მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული წამყვან პროფესიათა მუშებისა — ექვსი საათის სამუშაო დღეზე შემდეგ ვადებში:

ჩრდილოეთის, შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის, ურალის, ყაზახეთის სსრ რაიონების მრეწველობისა, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის, ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის და ივანოვოს ოლქისა 1959 წლის IV კვარტალში — 1960 წლის IV კვარტალში, ხოლო დანარჩენი ეკონომიური რაიონებისა 1960 წლის III-IV კვარტალში;

ჩრდილოეთის, შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის, ურალის, ყაზახეთის სსრ რაიონების მშენებლობისა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებისა — 1960 წლის II კვარტალში, ხოლო დანარჩენი ეკონომიური რაიონებისა — 1960 წლის IV კვარტალში;

ტრანსპორტის და კავშირგაბმულობისა — 1959 წლის IV კვარტალში — 1960 წლის IV კვარტალში.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებისა — 1960 წლის IV კვარტალის განმავლობაში;

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების და საპროექტო ორგანიზაციებისა — 1960 წლის II-IV კვარტალებში;

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, დამზადების და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოებისა და ორგანიზაციების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული დაწესებულებების, ხელოვნების, სახელმწიფო აპარატისა და სხვა არასაწარმოო საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებებისა — 1960 წლის III და IV კვარტალებში.

მრეწველობისა და მშენებლობის საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების გადაყვანა შემოკლებულ სამუშაო დღეზე განხორციელდება ხელფასის მოწესრიგებასთან ერთდროულად.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, სოფლის მეურნეობის დამხმარე საწარმოებში, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და საპროექტო ორგანიზაციებში მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების გადაყვანა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე განხორციელდება 1960-1961 წლებში.

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, დამზადების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმოებისა და ორგანიზაციების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და ხელოვნების, სახელმწიფო აპარატისა და სხვა არასაწარმოო დარგების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანილ იქნებიან 1962 წელს.

მიღებული დადგენილებით დამტკიცებულია ახალი გადიდებული სატარიფო განაკვეთები და ახალი სატარიფო ბადეები მუშათა შრომის ანაზღაურებისა და თანამდებობრივი ხელფასები საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ანაზღაურებისა.

ხელფასის მოწესრიგების განხორციელებასთან ერთდროულად გადაისინჯება ხელფასის მინიმალური ოდენობა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად გადიდდება 400-450 მანეთამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად დაამტკიცოს ტიპობრივი დებულებანი მუშათა შრომის ანაზღაურების სანარდო-პრემიული, და დროებრივ-პრემიული სისტემების შესახებ; იმ მუშათა პროფესიების ტიპობრივი სია, რომელთა შრომა ანაზღაურდება ცხელ, მძიმე სამუშაოებზე და შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისათვის დაწესებული სატარიფო განაკვეთების მიხედვით და სხვები.

სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამინისტროები, უწყებები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და საწარმოთა ხელმძღვანელები შემოკლებულ სამუშაო დღეზე და შრომის ახალ პირობებზე მუშაკთა გადაყვანის დროს მოვალენი არიან ფართოდ დანერგონ ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების ნორმები, რომლებიც შეესაბამება წარმოების ტექნიკის და ორგანიზაციის თანამედროვე დონეს და მუშათა მოწინავე საწარმოო გამოცდილებას; შეიმუშაონ და დანერგონ მომსახურების ნორმები დროებრივად მომუშავე დამხმარე მუშებისათვის; გამოიყენონ მუშათა შრომის ანაზღაურების ეკონომიურად ეფექტიანი სისტემები, აგრეთვე მუშების პრემირება და უბნების, საამქროებისა და მთლიანად საწარმოების მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების შედეგების გაუმჯობესებისათვის; გააფართოონ მუშათა ხელფასში ტარიფით ანაზღაურების ხვედრითი წონა; განახორციელონ სამუშაოთა ტარიფიკაცია და დაუწესონ თანრიგები მუშებს სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარების შესაბამისად დადგენილი წესით დამტკიცებული;

ცალკეული საწარმოების, მშენებლობისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანისა და შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების კონკრეტული ვადების განსაზღვრის უფლება მინიჭებული აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს. სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით დადგენილებით გათვალისწინებული საერთო ვადების ფარგლებში.

უწყვეტ წარმოებებში, აგრეთვე ცალკეულ სახეობათა სამუშაოებზე, სადაც სამუშაო ცვლის ხანგრძლივობის შემცირება შეუძლებელია, მუშებსა და მოსამსახურეებს უნდა მიეცეთ დამატებითი დასასვენებელი დღეები იმ დროისათვის, რომელსაც ისინი იმუშავებენ დადგენილი სამუშაო დღის გადამეტებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა დროზე და გულმოდგინედ მოემზადონ საწარმოები შემოკლებული სამუშაო დღის პირობებში სამუშაოდ და ყოველდღიური კონტროლი ადგილობრივ ამ მუშაობის პრაქტიკული განხორციელებისადმი, ამასთან მხედველობაში მიიტონ საწარმოო გეგმებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა უთუო შესრულება. თვითეულ საწარმოში უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ტექნიკური, სამეურნეო და ორგანიზაციული ღონისძიებანი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ წარმოებაში დაინერგოს ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, მოხდეს საწარმოო პროცესების მექანიზაცია, საწარმოს სპეციალიზაცია და კოოპერირება, უზრუნველყოფილ იქნას საწარმოთა რიტმული მუშაობა, შემცირდეს სამუშაო დროის დანაკარგი და გაუმჯობესდეს შრომის ორგანიზაცია.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ დაავალეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა და უზრუნველყონ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფართო მონაწილეობა იმ ღონისძიებათა მომზადებასა და განხორციელებაში, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობაში სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებასთან და შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებასთან. ეს ღონისძიებანი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება იმ გზაზე, რომ სსრ კავშირში განხორციელდეს მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე და ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ მოუწოდეს მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს კიდევ უფრო გააძლიერონ თავიანთი შრომითი აქტივობა და შემოქმედებითი ინიციატივა წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და ყოველი ღონისძიებით გამოყენების საქმეში, რათა შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასვლამ თვითეულ საწარმოში და მშენებლობაზე ხელი შეუწყოს წარმოების ახალ აღმავლობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და ამ საფუძველზე მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღონ სამრეწველო საწარმოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, რომელსაც პრაქტიკული გამოცდილება აქვს, ასეთი ღონისძიებებია: პირველ რიგში იმ პირთა ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, რომლებსაც სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვთ; საღამოსა და დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ფართო განვითარება; დამატებითი შეღავათების შემოღება იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობენ, და სხვ.

ყოველივე ამან საბჭოთა საზოგადოებრიობის სრული მოწონება მოიპოვა.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და სტუდენტთა და მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად ცნო, რომ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა დაკომპლექტების არსებული წესთან ერთად უშუალოდ სამრეწველო საწარმოებმა, მშენებლობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაგზავნონ მომუშავე ახალგაზრდობა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად ისე, რომ სტუდენტებსა და მოსწავლეებს სტიპენდიები აძლიონ გამგზავნმა ორგანიზაციებმა, ხოლო სპეციალისტები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებს ან ტექნიკუმებს დაამთავრებენ, საფუშაოდ დაბრუნდნენ იმ საწარმოში, რომელმაც სასწავლებლად გაგზავნა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონა მოწინავე კოლმეურნეობათა ის წინადადებანი, რომ კოლმეურნეობებს მიენიჭოთ უფლება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად გზავნონ კოლმეურნეები და აძლიონ მათ სტიპენდია კოლმეურნეობათა ხარჯზე ისე, რომ სპეციალისტები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელს ან ტექნიკუმს დაამთავრებენ სამუშაოდ დ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

გზში, ფართოდ განიხილავენ საწარმოთა საწარმოო თანამონაწილეები და მუშათა კრებები, კოლმეურნეობათა გამგეობების სხდომები, კოლმეურნეთა საერთო კრებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების მივლინება უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად საწარმოო მუშაობის მაღალი მიჩვენებლებისთვის წახალისების ღონისძიება უნდა იყოს.

ის პირნი, რომლებსაც სასწავლებლად გზავნიან სამრეწველო საწარმოები, მშენებლობები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, ამბობენ შესასვლელ გამოცდებს მიღების დადგენილი წესით და სარგებლობენ უფლებით, რომ პირველ რიგში კონკურსგარეშე ჩაირიცხონ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

ყველა წარმატებით მოსწავლე პირს, რომლებიც სამრეწველო საწარმოებმა, მშენებლობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაგზავნეს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად, ეძლევა სტიპენდია ამ საწარმოთა ხარჯზე. სტიპენდიის ოდენობა წესდება 15 პროცენტით მეტი ჩვეულებრივ სახელმწიფო სტიპენდიასთან შედარებით, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს ეძლევათ.

რჩება ეძლევთ კოლმეურნეობებს გაავრცელონ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად მივლინებული კოლმეურნეებისათვის სტიპენდიის დანიშვნის აღნიშნული წესი; სასწავლებლად გაგზავნილ კოლმეურნეებს უნარჩუნდებათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა უფლებები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში გათვალისწინებულია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები და საშუალო სპეციალური სასწავლებლები დამთავრეს, უნდა მუშაობდნენ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, რომლებმაც სასწავლებლად მიავლინეს ისინი. სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა თანხმობით ეს სპეციალისტები შეიძლება სამუშაოდ გაიგზავნონ სხვა ორგანიზაციებშიც.

სამრეწველო საწარმოებს, მშენებლობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს უფლება ენიჭებათ ის პირნი, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, გაგზავნონ წარმოებას მოწყვეტით სასწავლებლად სტაციონარული სასწავლებლების უფროს კურსებზე. სტუდენტებსა და მოსწავლეებს, რომლებიც წარმოებას მოწყვეტით სწავლობენ, სტიპენდია ეძლევათ ზემოაღნიშნული ოდენობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინიტროს, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებსა და კომიტეტებს, აგრეთვე განათლების სამინისტროებს მოაწყონ კურსების ფართო ქსელი, რომლებიც მოამზადებენ მომუშავე ახალგაზრდობას უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შესასვლელად და რომლებშიც პირველ რიგში უნდა მიიღონ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ რეკომენდებული პირები.

* * *

სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლებლად მივლინებული კოლმეურნეებისათვის სტიპენდიის დანიშვნის აღნიშნული წესი; სასწავლებლად გაგზავნილ კოლმეურნეებს უნარჩუნდებათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა უფლებები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში გათვალისწინებულია, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები და საშუალო სპეციალური სასწავლებლები დამთავრეს, უნდა მუშაობდნენ სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, რომლებმაც სასწავლებლად მიავლინეს ისინი. სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა თანხმობით ეს სპეციალისტები შეიძლება სამუშაოდ გაიგზავნონ სხვა ორგანიზაციებშიც.

სამრეწველო საწარმოებს, მშენებლობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს უფლება ენიჭებათ ის პირნი, რომლებიც წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში, გაგზავნონ წარმოებას მოწყვეტით სასწავლებლად სტაციონარული სასწავლებლების უფროს კურსებზე. სტუდენტებსა და მოსწავლეებს, რომლებიც წარმოებას მოწყვეტით სწავლობენ, სტიპენდია ეძლევათ ზემოაღნიშნული ოდენობით.

ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია. გენერალური ასამბლეის სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დარბაზებსა და კულუარებში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო. აქ შეიკრიბა ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის, სხვადასხვა ქვეყნის ბევრი დიპლომატი, ჟურნალისტი, ფოტორეპორტიორი.

ნაშუადღევის სამ საათზე ადგილობრივი დროით (22 საათზე მოსკოვის დროით) ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები მიეიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობასთან. შესასვლელთან მათ გულთბილად მიესალმნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დ. ჰამარშელდი, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი და სხვა ოფიციალური პირები. საბჭოთა მთავრობის მეთაური შევიდა სხდომათა დარბაზში.

დელეგატები ფეხზე ადგნენ და მჭუხარე ტაშით მიესალმნენ საპატიო სტუმარს. მიმდინარე სესიის თავმჯდომარის ვ. ბელაუნდეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის დ. ჰამარშელდისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს თანხლებით ნ. ს. ხრუშჩოვი მივიდა პრეზიდიუმის მაგიდასთან.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაიკავა ადგილი, რომელიც სპეციალურად განკუთვნილია საპატიო სტუმრებისათვის. თავმჯდომარე ვ. ბელაუნდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-14 სესიის დელეგატების სახელით მოკლე სიტყვით მიესალმა ნ. ს. ხრუშჩოვს. შემდეგ ვ. ბელაუნდემ სიტყვა მისცა ნ. ს. ხრუშჩოვს. ნ. ს. ხრუშჩოვი ტაშის გრიალში ავიდა ტრიბუნაზე.

როცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა დაამთავრა, დარბაზში მჭუხარე ოვაცია გაიმართა. დელეგატები და სტუმრები ფეხზე ადგნენ და მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვს.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს და ხაზი გაუსვა, რომ მისი გამოსვლა დიდი ყურადღებით მოისმინეს. სხდომა დამთავრდა. დელეგატები წვიდ-წამოვიდნენ და გაცხოველებით უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. დიპლომატებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი დაარსებიდან მუშაობენ, არ ახსოვთ რომელიმე სხვა სახელმწიფო მოღვაწის გამოსვლა, რომელსაც ისეთი განსაკუთრებული შთაბეჭდილება გამოეწვიოს, როგორიც ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ გამოიწვია. ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსებობის 14 წლის მანძილზე აქ სხვადასხვა ქვეყნის ბევრი სახელმწიფო მოღვაწე გამოსულა. სხდომის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის დ. ჰამარშელდის თანხლებით დათვალიერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა და წავიდა თავის რეზიდენციაში სასტუმრო „უოლდორფ-ასტორიაში“. როგორც ყოველთვის, გზაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნიუ-იორკის მცხოვრებთა დიდი ჯგუფები მიესალმებოდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი ჰაიდ-პარკში

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, მისი მეუღლე ნ. პ. ხრუშჩოვა და თანმხლები პირები იყვნენ ჰაიდ-პარკში. ჰაიდ-პარკში არის ამერიკის შეერთებული შტატების განსვენებული პრეზიდენტის ფრანკლინ დ. რუზველტის მამული, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ პრეზიდენტის ოჯახმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განკარგულებაში გადასცა, და ახლა აქ მუზეუმია.

მამულში შესასვლელთან ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ განსვენებული პრეზიდენტის რუზველტის მეუღლე ქალბატონი ელეონორა რუზველტი და პრეზიდენტის ერთ-ერთი ვაჟი ჯონ რუზველტი.

ნიკიტა სერგეს-ძემ გააცნო ქალბატონ რუზველტს ნ. პ. ხრუშჩოვა და თავისი ოჯახის სხვა წევრები. შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ქალბატონ ელეონორა რუზველტთან ერთად წავიდა პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის საფლავზე, რომელიც აქვეა. ნ. ს. ხრუშჩოვმა გვირგვინით შეამკო საფლავი.

გვირგვინის ლენტს რუსულ და ინგლისურ ენებზე აწერია: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებული შტატების გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, პროგრესისა და ხალხთა შორის მშვიდობისათვის მებრძოლს“. ამის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დათვალიერეს პრეზიდენტ რუზველტის მუზეუმი. პრეზიდენტის პირად კაბინეტში ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისი ოჯახის წევრებმა ხელი მოაწერეს საპატიო სტუმართა წიგნში. ამასთან ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ მას თავის მოვალეობად მიაჩნია ენახა საფლავი პრეზიდენტ რუზველტისა, რომლის შესახებ საბჭოთა ხალხს ძალიან კარგი ხსოვნა დარჩა.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები მოკლე ვიზიტით ეწვივნენ ქალბატონ რუზველტს სახლში, რომელიც აქვეა ჰაიდ-პარკში. შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები უკანვე გაემგზავრნენ ნიუ-იორკში.

ნ. ს. ხრუშჩოვს ეწვია ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი ნ. როკფელერი

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ ნაშუადღევს ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ნელსონ როკფელერმა ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს მის რეზიდენციაში სასტუმრო „უოლდორფ-ასტორიაში“. ნ. ს. ხრუშჩოვსა და როკფელერს შორის გაიმართა საუბარი.

გასეირნება ნიუ-იორკში

ნ. როკფელერის ვიზიტის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ავტომობილებით გაისეირნეს ნიუ-იორკში. ათეულობით ადამიანი გულთბილად მიესალმებოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს. განსაკუთრებით ბევრი ხალხი შეიკრიბა მანჰეტენის სამხრეთ ნაწილში, ბროდვეიზე, სადაც ნიუ-იორკის მცხოვრებნი დიდ ხანს ელოდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოჩენას. საავტომობილო მაგისტრალის „ფრანკლინ რუზველტ-დრაივის“ გავლის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვის მანქანა გაემართა ცათამბჯენ „ემპაირ სტეიტ ბილდინგისაკენ“.

ცათამბჯენის შესასვლელთან საბჭოთა სტუმარს გულითადად მიესალმა ამერიკის ამ ყველაზე მაღალი შენობის მფლობელი ჰენრი კრაუნი. მან მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს სტუმრობისათვის და სთხოვა ასულიყო 86-ე სართულზე, სადაც არის მთელი შენობის ირგვლივი სპეციალური გადასახედი ვერანდა. ნიუ-იორკის პანორამის დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვს სთხოვეს რამდენიმე სიტყვა ეთქვა რადიოსთვის.

მადლობელი ვარ, რომ საშუალება მომეცით დამეთვალიერებინა თქვენი ქალაქი, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. აქედან კარგი ხედია.

ჟურნალისტებმა სთხოვეს ნ. ს. ხრუშჩოვს, ნიუ-იორკი მოსკოვს შეადარეო. ყოველ კაცს, უპასუხა ნ. ს. ხრუშჩოვმა, თავისი ქალაქი უყვარს. ომის შემდეგ ჩვენმა ჯარისკაცებმა თან მოიტანეს სიმღერა „კარგი ბულგარეთი, მაგრამ რუსეთი ყველას სჯობს“. მე შემიძლია გითხრათ: კარგია ქალაქი ნიუ-იორკი, მაგრამ მოსკოვი უკეთესია.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და შეერებილ ამერიკელებს შორის მეგობრული საუბარი გაიმართა.

ჰ. კრაუნმა ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვა შენობის სამახსოვრო მოდელი და სთხოვა ხელი მოეწერა საპატიო სტუმართა წიგნში. ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა კრაუნს გულითადი მიღებისათვის და უთხრა, შენობის მოდელი მომაგონებს ნიუ-იორკში ყოფნასო. ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად გამოეთხოვა შეკრებილთ და დატოვა შენობა.

საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დაგ ჰამარშელდთან

საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დაგ ჰამარშელდმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში სადილი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს პასუხისმგებელი თანამშრომლები და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლები პირები. სულ სადილზე იყო დაახლოებით 250 სტუმარი.

სადილის დროს დაგ ჰამარშელდმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მოკლე სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ლოს-ანჟელოსში გამგზავრება

ნიუ-იორკი, 19 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი დღეს დილის 9 საათსა და 42 წუთზე ადგილობრივი დროით (16 საათსა და 42 წუთზე მოსკოვის დროით) ნიუ-იორკიდან ლოს-ანჟელოსში გაფრინდნენ თვითმფრინავით.

საპატიო სიგელების გადაცემა

კასპი, 19 სექტემბერი. (საკდესი). ამას წინათ კასპის სტალინის სახელობის ცემენტის ქარხანაში, რომლის კოლექტივმაც, გამოიყენა რა შინაგანი საწარმოო რეზერვები, რეკორდულად მოკლე ვადაში დაამონტაჟა და საექსპლოატაციოდ გადასცა მეოთხე მბრუნავი ღუმელი, მოხდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელების გადაცემა. სიგელები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ.

იმათ შორის, ვინც საპატიო სიგელები მიიღო, არიან კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. სამხარაძე, მეარმატურე ი. კობაიძე, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი კ. ოვანესიანი, მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ს. ჯუმაევი, ელექტროშემდუღებელი ა. პანჩენკო, ქარხნის დირექტორი ვ. პაპიაშვილი, პარტბიუროს მდივანი გ. მათეშვილი, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ა. არაქელოვი და სხვები, სულ 18 კაცი.

ატომურმა ყინულმჭრელმა „ლენინმა“ დატოვა კრონშტადტის რეიდი

კრონშტადტი, 18 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილის 10 საათსა და 10 წუთზე მოსკოვის დროით მსოფლიოში პირველმა ატომურმა ყინულმჭრელმა „ლენინმა“ ორი დღის დგომის შემდეგ ღუზა აუშვა და დატოვა დიდი კრონშტადტის რეიდი. პოლარული ფლოტის ფლაგმანმა მიიღო მაზუთი და საჭირო რაოდენობის მტკნარი წყალი. მან გეზი აიღო გაშლილ ზღვაში. ამინდი ხელს არ უწყობს ეკიპაჟს. ძლიერი ქარი, ხშირი წვიმა და ნისლი ართულებს ნაოსნობას. მაგრამ მეზღვაურთა შეთანხმებული, შეკავშირებული ეკიპაჟი, რომელსაც კომუნისტები მეთაურობენ, ჩინებულად ეწევა ვახტს.

ვახტისაგან თავისუფალი მატროსები და ეკიპაჟის გუნდის წევრები დიდი ყურადღებით ისმენენ რადიოთი ცნობებს ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის ყოფნის შესახებ.



ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა.
ფოტო ვ. ეგოროვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

თავისუფლება ესპანელ და პორტუგალიელ პატრიოტებს!

20 წლის წინათ ფაშისტური ამბოხების შედეგად დაამხეს ესპანეთის კანონიერი რესპუბლიკური მთავრობა. მეამბოხე გენერლების ზურგს უკან მდგარმა ნაცისტურმა გერმანიამ და ფაშისტურმა იტალიამ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი მთავრობების წაყრუებით მოაწყეს შეიარაღებული ინტერვენცია და ოცდათორმეტი თვის სამოქალაქო ომის შემდეგ დაამყარეს ესპანეთში ფრანკოს დიქტატურა.

ესპანელ ხალხს წაართვეს ყველაზე ელემენტარული უფლებები და სამოქალაქო თავისუფლებანი. მემარცხენე მიმართულების ყველა პოლიტიკური პარტია კანონგარეშე გამოაცხადეს, საპატიმროში დაამწყვდიეს ათასობით ესპანელი პატრიოტი.

ფაშისტური რეჟიმისა და უსასტიკესი ტერორის მიუხედავად, ესპანეთის მუშათა კლასი სულ უფრო აძლიერებს წინააღმდეგობას სამინელი ექსპლოატაციისადმი. ფრანკისტული დიქტატურისა და ფინანსურ-პოლიტიკური ოლიგარხიის წინააღმდეგ, რომელიც დიქტატურას იყენებს ამ ქვეყნის ექსპლოატაციისა და დაჩაგვრისათვის, ესპანეთში იქმნება ოპოზიციის ფართო ფრონტი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც მუშათა კლასი, ღარიბი გლეხები და სოფლის მეურნეობის მუშები, ისე მოწინავე ინტელიგენცია და არამონოპოლისტური ბურჟუაზია.

ეროვნული თანხმობის პოლიტიკას, რომელსაც ესპანეთის კომპარტია ახორციელებს და რომელიც გამოხატავს ესპანელი ხალხის უმრავლესობის სასიცოცხლო ინტერესებს, ახალი უსასტიკესი ტერორით შეხვდა ფრანკოს მთავრობა.

ფრანკისტული ხელისუფალნი უსწორდებიან სახალხო მოძრაობის ორგანიზატორებს, ფაშისტურ ჯურღმულებში ამწყვდევენ თვალსაჩინო პატრიოტებსა და თავისუფლებისათვის მებრძოლთ — სევილიისა და მურსიის მუშებს, ასტურიის მეშახტეებს, ვალიადოლიდის რკინიგზელებსა და საგუნტოს მეტალურგებს. სიპატიმროში ზის ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სიმონ სანჩეს მონტერო.

ამ დღეებში, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობა სიხარულს გამოთქვამს ორი დიდი სახელმწიფოს — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურების შეხვედრის გამო, როცა ისახება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ესპანეთსა და პორტუგალიაში სიპატიმრობები იტანჯება ასობით მამაცი მებრძოლი თავისი ხალხის თავისუფლებისათვის.

საიდუმლო პოლიციის ჯალათები მხეცურად აწამებენ პოლიტპატიმრებს, სურთ მოსპონ ისინი, ვინც უმძიმეს პირობებში განაგრძობს ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ.

საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები, პროფკავშირების წევრთა მრავალთასიანი არმია გულწრფელ სოლიდარობას და ძმურ მხარდაჭერას უცხადებენ ესპანეთისა და პორტუგალიის მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, და უერთდებენ თავიანთ ხმას საერთაშორისო საზოგადოებრიობის, ყველა ქვეყნის პროგრესული ადამიანების მოთხოვნებს — ბოლო მოეღოს მძვინვარე ტერორს, საპატიმროებიდან გაათავისუფლონ ესპანელი და პორტუგალიელი პატრიოტები.

თავისუფლება ესპანელი და პორტუგალიელი ხალხების მამაც მებრძოლებს!

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი

ბლედი, 18 სექტემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი იუწყება: მე-8 ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო ტალსმისლოვის პარტია. კარო-კანის დაცვაში ტალმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, აირჩია ორიგინალური ვარიანტი და დასაწყისშივე გაამწვავა თამაში, შესწირა ფიგურა. მისი იერიში სწრაფად ვითარდებოდა, და სმისლოვმა მის შესაჩერებლად დათმო ხარისხი. ამან გადაწყვიტა ბრძოლის დასასრული. 26-ე სვლაზე სმისლოვი დანებდა.

ფიშერ-კერესის პარტიაში აგრეთვე თამამშებული იყო კარო-კანის დაცვა. ბერლინერმა გროსმაისტერმა გადაწყვიტა გაემეორებინა ინგრეე ვარიანტი, რომელიც უკვე გამოიყენა მან პეტროსიანთან პარტიაში. კერესი საფუძვლიანად მოემზადა შესახვედრად და მიიღო კარგი პოზიცია. შემდეგ მან შეტევა დაიწყო ლაზიერის ფლანგს და ეხერხებოდა გული კონტროლი. ორი პარტია დარჩა დაუმთავრებელი. პეტროსიანს ჰქონდა ძნელი პოზიცია ოლიფსონის წინააღმდეგ. პარტია შეწყვეტილ იქნა ბალანსში. ლეონტიევ-ბოლესლავსკი ისლანდიელ გროსმაისტერს ზედმეტი პაიკით. გროსმაისტერმა ბენკოსთან ალეხინი ჩაიგო ზედმეტი პაიკით.

ხვალ გაიმართება დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

კვლავ წინ არიან ე. კაკაბაძე და მ. ტოგონიძე

საინტერესოდ გრძელდება საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა XXI პირველობის ნახევარფინალები რიგაში, ჩერნიგოვსა და პიატიგორსკში, რომლებშიც მონაწილეობენ საქართველოს მოჭადრაკეები ე. კაკაბაძე, ქ. გოგიავა, მ. ტოგონიძე და ა. ჩაიკოვსკაია.

პიატიგორსკის ნახევარფინალში უკვე გათამამებულია ცხრა ტური. ბრძოლა ლიდერობისათვის კვლავ მ. ტოგონიძესა და მოსკოველ ნ. კოლოტის შორის მიმდინარეობს. ამჟამად მათ 6-6 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. ს. როტარეს 6 ქულა აქვს. მ. ტოგონიძემ მეორე ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პანკრატოვასთან, ხოლო მეცხრეში — ოსტატ როოტარესთან. ტურნირის დამთავრებას აკლია კიდევ ოთხი ტური. მ. ტოგონიძეს სთამაშო დარჩა პარტიები ნ. კოლოტისთან, უკრაინის ჩემპიონ ბ. ვაისბერგთან, მოსკოველ ა. ბელოვენეცთან და აშხაბადელ რ. მუსლიმოვასთან.

ჩერნიგოვის ნახევარფინალში ლიდერებს საკმაოდ ჩამორჩენილი არიან ა. ჩაიკოვსკაია და ქ. გოგიავა. ბათუმელ მოჭადრაკეს რვა ტურის შემდეგ მხოლოდ 4 ქულა აქვს და იმყოფება მეექვსე-მერვე ადგილებზე. ქ. გოგიავას 3 ქულა და ერთი დაუმთავრებელი პარტია აქვს.

რიგის ნახევარფინალში ლიდერობისათვის ერთმანეთს ეცილებიან ე. კაკაბაძე, ესტონელი რ. კური და ლიტველი ს. კაუშილაიტე. მერვე ტურამდე მხოლოდ ისინი იყვნენ დაუმარცხებელი. გადაწყვეტილი პარტიების დამთავრებისას კაკაბაძემ მოიგო კაუშილაიტეს. ამჟამად ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: რ. კური — 6 ქულა აქვს, ე. კაკაბაძეს — 5 ქულა და ერთი ნისენბოიმთან მოსაგები. მდგომარეობაში გადადებული პარტიაა ს. კაუშილაიტეს და ა. კუშნირს — 5 ქულა თვითეულს.

ფეხბურთი

„ა“ კლასი

გუშინ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა მორიგი შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის.

მოსკოვში შედგა ორი თამაში. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ლენინგრადის „ზენიტი“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0. დედაქალაქის „სპარტაკმა“ დაამარცხა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ ანგარიშით 1:0.

კიშინოვში ადგილობრივი „მოლდავეთ“ წინააღმდეგ თამაშობდა როსტოვის „სკვო. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:2.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ოპერა-ბალეტი

20 სექტემბერი

ოპერისა და ბალეტის — წითელქუდა (დღისით), ბაღჩისარაის შადრევანი (საღამოს, მე-6 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — არაგველები (დღისით) ფილოსოფიის დოქტორი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — დაბრილი არწივი (დღისით), ტაიფუნი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — წყვდიადიდან გამოქცევა (დღისით და საღამოს), **სომხური დრამის** — გიჟორ (დღისით), ბაღების სიმღერა (საღამოს), **თოჯინების ქართული** — ტყის მეგობრები (12 ს.). **ფილარმონიის საზაფხულო** — ლიტვის სსრ დამსახურებული არტისტის ანატოლ იუგოვის კონცერტი.

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი), ალეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი — დაუპატიჟებელი სტუმრები.

ცირკი

20 სექტემბერი

საღამოს

19.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.45 — კონცერტი საბჭოთა არმიის მეომართა დასკვენ. 20.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.30 — გადაცემა კინონარკვევების ციკლიდან „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონი“ „საქართველოს სსრ პავილიონი“ (თბილისის ტელესტუდიის გამოშვება). 21.05 — მხატვრული ფილმი „საიდუმლო დაბადება“.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამოშმეების — 3-06-88.

დე გოლის დაპირება და სინამდვილე

პარიზი, 18 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ პრეზიდენტ დე გოლის უკანასკნელმა წინადადებებმა ალჟირის საკითხზე არა თუ არ მოაახლოვეს, არამედ კიდევ უფრო გადადეს ალჟირის პრობლემის გადაჭრა.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში, რომელიც პარიზში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ დე გოლი „უარს ამბობს აწარმოოს მოლაპარაკება იმათთან, ვის წინააღმდეგაც თითქმის ხუთი წელია წარმოებს ომი, და აღარ ლაპარაკობს დაზავებაზე“.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ „განცხადება ალჟირის შესახებ, რომელიც დე გოლმა გააკეთა ისე, რომ არ მოითმინირებია პარლამენტს და არც მინისტრებს, არა თუ არ აახლებს არამედ პირიქით კიდევ უფრო გადადებს ალჟირის პრობლემის გადაჭრას.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

ეს არის ხანგრძლივი ომის, ბოლომდე ომის პოლიტიკა“. ეხება რა დე გოლის დაპირებას ალჟირში საომარი მოქმედების დამთავრებიდან ოთხი წლის შემდეგ მიანიჭოს ალჟირელ ხალხს თვითგამორკვევის უფლება, პოლიტბიურო აცხადებს, რომ ეს დაპირება არის მხოლოდ „პოლიტიკური მანევრი, მიმართული იმათ წინააღმდეგ, ვისც იბრძვის ალჟირის დამოუკიდებლობისათვის“.

„ამ მანევრის მიზანია, — აღნიშნულია განცხადებაში, — მოატყუოს საფრანგეთისა და მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრი. რა მნ